პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

№ 128 (11739)
ხუთშაბათი,
2
ივნისი
1960 წ.

ფასი 20 კაპ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების შეჯიბრების მოწინავეთა სრულიად საკავშირო თათბირის მონაწილეები: კალინინის ოლქის კალინინის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „ბოლშევიკის“ მეელორე ვ. ბელოვა (მარცხნივ), ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის ლენინის სახელობის შახტის მნგრეველი შ. კუბლაშვილი, გორის ბამბეულის კომბინატის სართავი საამქროს ჩამომსხლელი ბრიგადის ხელმძღვანელი ე. გეგელაშვილი, ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის საბრძმედე საამქროს კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი ა. ძამაშვილი და ვალენტინა გაგანოვა ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას.

ფოტო „კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტის ო. არობელიძისა.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხი

„იზვესტიის“ კორესპონდენტის კითხვაზე

„იზვესტიის“ კორესპონდენტმა შემდეგი კითხვით მიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს:

ამერიკის სენატში, როცა სხდომა ჰქონდა სენატის საგარეო საქმეთა კომისიას, რომელმაც გამოიკვლია „თუ რა მოვლენებმა გამოიწვიეს უმაღლესი დონის თათბირის ჩაშლა“, კომისიის თავმჯდომარემ ფულბრაიტმა ჰკითხა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს ჰერტერს, საბჭოთა მთავრობის მეთაურს პარიზში „პირდაპირ თუ არაპირდაპირ“ ხომ არ შემოუტანია რაიმე შეკითხვა ეიზენჰაუერთან შეხვედრის შესაძლებლობის შესახებ უმაღლესი დონის თათბირამდეო. ამაზე ბ-ნმა ჰერტერმა უპასუხა: „არა, მე არაფერი არ ვიცი ასეთი ცდების შესახებ“.

რას იტყოდით თქვენ ამის თაობაზე?

ნ. ს. ხრუშჩოვი: როგორც უკვე ვთქვი კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების შეჯიბრების მოწინავეთა სრულიად საკავშირო თათბირზე კრემლში 28 მაისს, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ეიზენჰაუერს პარიზში ყოფნის დროს არც მთავრობათა მეთაურების წინასწარ შეხვედრამდე, არც მის შემდეგ არ გამოუჩენია რაიმე მისწრაფება გაეხსნა უმაღლესი დონის თათბირის გზა. იგი, კერძოდ, გულწრფელად არ ცდილა შეგვხვედროდა და მოგვლაპარაკებოდა ჩვენ.

ჯერ კიდევ მანამდე, სანამ მთავრობათა მეთაურების წინასწარი შეხვედრა მოხდებოდა, ჩვენ საუბარი გვქონდა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ბ-ნ მაკმილანთან. ამ საუბრის დროს ბ-ნ მაკმილანმა მკითხა, მაქვს თუ არა განზრახული შევხვდე პრეზიდენტ ეიზენჰაუერს, რათა მოველაპარაკო ამ საკითხზე. მე ისიც კი მომეჩვენა, რომ ინგლისის მთავრობის მეთაური მარტო თავისი ინიციატივით როდი მაძლევდა ამ კითხვას.

მე ვუპასუხე ბ-ნ მაკმილანს, რომ თუ პრეზიდენტი ეიზენჰაუერი გამოიჩენს ინტერესს ასეთი შეხვედრისადმი, მზად ვიქნები შევხვდე მას.

მაგრამ მე არ მინდოდა და არც შემეძლო გამომეჩინა ინიციატივა ამ საქმეში. ეს სავსებით ბუნებრივია. ინიციატივა იმას უნდა გამოეჩინა, ვინც დაარღვია კარგი ურთიერთობა. რომელიც მყარდებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სსრ კავშირს შორის, ესე იგი პრეზიდენტ ეიზენჰაუერს. საბჭოთა კავშირს შეურაცხყოფა მიაყენეს, მის წინააღმდეგ აგრესიული აქტი ჩაიდინეს, რომელმაც აღაშფოთა მთელი საბჭოთა ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა. განა ცხადი არ არის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისაგან და მხოლოდ მისგან იყო მოსალოდნელი პირველი ნაბიჯი.

მაგრამ ასეთი ნაბიჯი არ გადაუდგამთ.

ამრიგად, სახელმწიფო მდივნის ჰერტერის პასუხი სენატის საგარეო საქმეთა კომისიისადმი. ისევე როგორც ამ პასუხამდე რამდენიმე დღით ადრე მომხდარი პრეზიდენტ ეიზენჰაუერის გამოსვლა შეიცავენ მცდარ მტკიცებებს. თითქოს მე არ მოვისურვე შეხვედროდი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს პარიზში. ეს მტკიცებანი მიზნად ისახავენ შეიყვანონ ამერიკის საზოგადოებრიობა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას ააცილონ სამართლიანი კრიტიკა უმაღლესი დონის თათბირის ჩაშლისათვის.

საბჭოთა კავშირმა ცნო თურქეთის ახალი მთავრობა

ამა წლის 31 მაისს სსრ კავშირის ელჩი თურქეთში ნ. ს. რიჟოვი ეწვია თურქეთის პრემიერ-მინისტრს გენერალ ჯ. გიურსელს და საბჭოთა მთავრობის დავალებით გაუკეთა შემდეგი განცხადება:

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა ყურადღებს ცნობას თურქეთში ახალი მთავრობის შედგენის შესახებ და ამით აცხადებს, რომ ოფიციალურად ცნობს თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას, რომელსაც მეთაურობს მისი ექმატენბულება გენერალი ჯ. გიურსელი.

საბჭოთა მთავრობა გამოთქვამს იმედს, რომ თურქეთის ახალი მთავრობა გამოიჩენს საჭირო მეცადინეობას საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად. რაც შეეხება საბჭოთა მთავრობას, იგი დიდი ხანია ესწრაფვის იმას, რომ საბჭოთა კავშირისა და თურქეთის ურთიერთობა ნამდვილად კეთილმეზობლური და მეგობრული გახდეს“.

პარაჯანოვისა და მთავრობის ხელმძღვანელებმა დაათვალიერეს გამოფენა „საბჭოთა რუსეთი“

თვენახევრის წინათ მოსკოვის ცენტრალურ საგამოფენო დარბაზში გაიხსნა გამოფენა „საბჭოთა რუსეთი“. იგი დამსახურებული წარმატებით სარგებლობს სახვითი ხელოვნების მოყვარულთა შორის. მანეჟის მოედანზე დარბაზებში ყოველდღე შვიდი ათასამდე მაყურებელი დადის.

1 ივნისს გამოფენა „საბჭოთა რუსეთი“ დაათვალიერეს ამხანაგებმა: ა. ბ. არისტოვმა, ლ. ი. ბრეჟნევმა, ნ. გ. იგნატოვმა, ფ. რ. კოზლოვმა, ო. ვ. კუუსინენმა, ნ. ა. მუხიტდინოვმა, დ. ს. პოლიანსკიმ, ე. ა. ფურცევამ, ნ. ს. ხრუშჩოვმა, ნ. მ. შვერნიკმა, პ. ნ. პოსპელოვმა.

სტუმრები მიიღეს და განმარტება მისცეს მხატვრებმა ვ. ა. სეროვმა, ს. ვ. გერასიმოვმა, ბ. ვ. იოგანსონმა და სხვებმა, აგრეთვე რუსეთის სფსრ კულტურის მინისტრმა ა. ი. პოპოვმა. (საკდესი).

ქალთა აქტივის კრება თბილისში

1 ივნისს ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში გაიმართა თბილისის ქალთა აქტივის კრება, მიძღვნილი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი

მოხსენება ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა **თ. ლაშქარაშვილმა.**

ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია, რომელიც გამოთქვამს მრისხანე პროტესტს აგრესორთა ცდების წინააღმდეგ — დაანთონ ახალი მსოფლიო ომის ხანძარი.

კრების შემდეგ გაიმართა კონცერტი.

ლ. მესხიშვილის სახელობის ქუთაისის თეატრის გასტროლები

1 ივნისს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში საგასტროლო გამოსვლები დაიწყო ლადო მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა.

გასტროლების პირველ დღეს კოლექტივმა უჩვენა პ. ლორთქიფანიძის რომანის „ალლეთის ციხარის“ ინსცენირება.

სპექტაკლის დაწყების წინ თეატრის კოლექტივს მიესალმნენ რესპუბლიკის სახალხო არტისტი ა. თოლიძე და სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვ. გოძიაშვილი. საპასუხო სიტყვა წარმოთქვა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ა. ვასაძემ.

სპექტაკლ „კოლხეთის ცისკრის“ დადგმა ეკუთვნის ა. ვასაძეს, მხატვრული გაფორმება — საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, სტალინური პრემიის ლაურეატ დ. თავაძეს, მუსიკა — საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს რ. ბაბიჩავაძეს.

მთავარი როლები შესრულეს რესპუბლიკის დამსახურებულმა მსახიობებმა შ. ხაჯალიამ, კ. აბესაძემ, ვ. ჩხიკვაძემ, შ. პირველმა, ი. ხვიჩიამ, თ. კიკნაძემ, ვ. მეგრელიშვილმა, მსახიობებმა ნ. წიკლაურმა, ე. სვანიძემ, თ. ლასხიშვილმა, ც. ბერიძემ და სხვებმა.

სპექტაკლს დაესწრნენ ამხანაგები ბ. ჯაბახიშვილი, გ. ძაღაგიძე, გ. ჯიბლაძე, მ. კუჭავა.

სპექტაკლს დიდი წარმატება ჰქონდა.

ქუთაისის დრამატული თეატრის გასტროლები თბილისში გაგრძელდება 20 ივნისამდე, შემდეგ თეატრი წავა რუსთავსა და გორს. მის რეპერტუარშია პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“, შექსპირის „ოტელო“, ნ. ვირტას „თვალუწვდენი სივრცეები“, ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი“, დ. თაქთაქიშვილის „შემობრუნება“, ო. ჩიჯავაძის „თხუნელა“. (საკდესი).

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი ქუთაისში

ქუთაისი. (ტელეფონით, საკ. კორ.). აქ საზაფხულო გასტროლებისათვის სრული შემადგენლობით ჩამოვიდა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი. გუშინ, 1 ივნისს, გასტროლების პირველ დღეს თეატრმა ქუთაისელ მაყურებლებს უჩვენა ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“.

საგასტროლო რეპერტუარში შეტანილია აგრეთვე ოპერები — ზ. ფალიაშვილის „დაისი“, მ. ბალანჩივაძის „დარეჯან ცბიერი“, ბიზეს „კარმენი“, ვერდის „რიგოლეტო“, დარგომიჟსკის „ალი“, ვ. გოკიელის „წითელქუდა“, ბალეტებიდან ა. მაჰავარიანის „ოტელო“, დ. თორაძის „გორდა“, ა. მინკუსის „დონ-კიხოტი“, ბ. ჩაიკოვსკის „ბიდების ტბა“. ბ. ასაფიევის — „ბახჩისარაის შადრევანი“, გერტელის „ამაო სიფრთხილე“.

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის გასტროლები ქუთაისში ერთ თვეს გასტანს. გასტროლებთან ერთად თეატრი პარალელურ გასვლითს სპექტაკლებს გამართავს ჭიათურაში, ზესტაფონში, ტყიბულში, სამტრედიაში, თერჯოლასა და ზუგდიდში.

საბჭოთა საქართველოს დღე

★ ★ ★ ★

გუშინ ჩაის კლანტაციებში



◆**წალენჯიხა.** (საკ. კორ.). წალენჯიხელმა მეჩაიეებმა მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩაბარეს 90 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ნედლეული.

სასახელო მაჩვენებლები მოიპოვეს ფახულანის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეებმა ანტისა, ზინა, ნათელა და სულიკო გოგოხიებმა, ნათელა კუკავამ და მედიკო ჭარაიამ. თვითეულმა მათგანმა 70 კილოგრამი ჩაი მოკრიფა, 5-7 კილოგრამით მეტი წინა დღესთან შედარებით.

კრეფის ტემპი გააძლიერეს ამავე სოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეებმა. აქ ყოველდღიურად ჩაის საკრეფად 200-250 კაცი გამოდის. კვლავ წინ მიდის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი სოფიო შონია, რომელიც ყოველდღიურად 70-80 კილოგრამს კრეფს.

◆ **ცხაკაიას** რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 1 ივნისისათვის სულ მოკრიფეს 925 ტონა ჩაის ფოთოლი. რაც წლიური გეგმის 31.9 პროცენტს და მაის-ივნისის დავალების 68 პროცენტს შეადგენს.

სასახელო მაჩვენებლებს მიაღწია ეკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ნინო ელიავამ. მან სულ მოკრიფა 2.700 კილოგრამი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 2.500 კილოგრამისა.

სურათზე: გუდაუთის რაიონის კოლმეურნეობა „დურეფშის“ მოწინავე მეჩაიე დ. არძინბა, რომელიც ყოველდღიურად 40-45 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფს.

ფოტო ს. კოროტკოვისა.

დავით სეფიაშვილის ახალი წარმატება

წითელწყაროს, („კომუნისტის“ კორ.). სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის მეელორეობის ფერმის უფროსი მეელორე დავით სეფიაშვილი წარმატებით ასრულებს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებას. მეელორეობის ფერმის მუშაობაში ფართოდ ნერგავს სოციალისტური შრომის გმირის იოსოლავ ჩიქის მუშაობის მდიდარ გამოცდილებას.

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, დავით სეფიაშვილმა ვადაზე ადრე — 27 თებერვლისათვის გადაჭარბებით შეასრულა ღორის ხორცის წარმოების პირველი კვარტალის გეგმა.

26 მაისს სეფიაშვილმა წითელწყაროს ხორცის დამზადების პუნქტს 109 ღორი ჩააბარა 10.351 კილოგრამი საერთო წონით. ამრიგად, სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ნახევარი წლის ვალდებულება ერთი თვით ადრე შეასრულა. დღეისათვის ჩაბარებული ჰყავს 501 ღორი. სახელმწიფოს მიჰყიდა 47,5 ტონა ღორის ხორცი. ცენტნერი ხორცის თვითღირებულება 200 მანეთს არ აღემატება.



ახლა სეფიაშვილი ასუქებს 450 ღორს, რომლებსაც ივნისის ბოლო რიცხვებში ჩააბარებს. იაროსლავ ჩიქთან სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებას იგი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დღესასწაულისათვის შეასრულებს.

გორელი მეჭარხლეები ამგოგენ: შევასრულეგთ

გორი, (საკ. კორ.). — ათას ორასი ჰექტარი შაქრის ჭარხლის პლანტაციიდან მიიღონ და სახელმწიფოს ჩაბარონ 500 ათასი ცენტნერი ჭარხალი — ასეთი ვალდებულება აქვთ ნაკისრი გორელ მეჭარხლე კოლმეურნეებს.

ნაკისრ ვალდებულებათა გასანაღდებლად გაჩაღებულია ენერგიული შრომა. შაქრის ჭარხლის მაღალი მოსავლის მოყვანის მდიდარი გამოცდილება აქვს სოფელ ქვახვრელის კოლმეურნეობას. შარშან აქაურმა კოლმეურნეებმა ჭარხლის მოსავლიანობის გეგმა ორმაგად შეასრულეს. წელსაც კარგად უვლიან ჭარხლის პლანტაციას. ქვახვრელელებმა საუკეთესო ვადებში დაამთავრეს ჭარხლის პირველი მსუბუქი გაფხვიერება, გამოხშირვა და ახლა მეორედ აფხვიერებენ ნიადაგს.

კოლმეურნეობაში სანიმუშოდ მოვლილია ს. გალუსტაშვილის ბრიგადის შაქრის ჭარხლის პლანტაცია. მის ბრიგადას ვალდებულება აქვს აღებული ჰექტარზე სამუალოდ მოიყვანოს 1.200 ცენტნერი შაქრის ჭარხალი. ეს გეგმით გათვალისწინებულზე სამჯერ მეტია.

ქვახვრელელებს შაქრის ჭარხლის მოვლაში არც ახალუბნელი კოლმეურნეები ჩამორჩებიან, გულს ახარებს ამ კოლმეურნეობის კარგად მოვლილი ჭარხლის პლანტაცია. მუშაობის მისაბაძ მაგალითს იძლევა კოლმეურნეობის მემინდვრეობის მეორე ბრიგადა, რომელსაც გ. ფსტიძე ხელმძღვანელობს. ბრიგადამ აგროტექნიკით გათვალისწინებულ ვადაზე ადრე შეასრულა პლანტაციაში პირველი გაფხვიერებისა და გამოხშირვის სამუშაოები.

შაქრის ჭარხლს კარგად უვლიან სოფელ ზერტის კოლმეურნეობაში. ამ საქმეში უველაზე მოწინავეა პირველი ბრიგადა (ხელმძღვანელი გ. ტერუნაშვილი). კოლმეურნეები ტ. მიჩიტაშვილი, ა. რევაზაშვილი, ე. მიჩიტაშვილი და სხვები ყოველდღიურ დავალებებს ორმაგად ასრულებენ.

გორის რაიონის სოფელ მერეთის მიჩურინის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მეჭარხლე ი. სიმონიშვილი.

ფოტო შ. კუკულავასი.

ჩაის კრეფს მანქანა

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ამ რამდენიმე წლის წინათ ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში მოეწყო ჩაის საკრეფი მანქანის „ჩუ-1,6“-ის გამოცდა. მანქანით მოკრეფილი ჩაის ფოთლის მასიდან პირველი ხარისხის პროდუქცია შეადგენდა 54 პროცენტს, უკონდიციო მასალა 8 პროცენტით, ხოლო პროდუქციის ერთეულის წარმოების თვითღირებულება 1 მანეთით და 18 კაპიკით შემცირდა.

მიმდინარე სეზონში ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში 150 ჰექტარ პლანტაციაზე იწარმოებს ჩაის ფოთლის მექანიზებული კრეფა. აქ მიღებული 30 საკრეფი მანქანა დაკომპლექტებულია 6 სატრაქტორო ბრიგადად. თვითეულ ბრიგადას აქვს 25 ჰექტარი ჩაის პლანტაცია. მოეწყო მოკლევადიანი კურსები ჩაის საკრეფი მანქანების მძღოლებისა და მეშტურვალეების მოსამზადებლად. ამ საქმეს ხელმძღვანელობენ სოფლის მეურნეობის ტექნიკის სახელმწიფო სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს სპეციალისტები.

დილით ადრე აგუგონდნენ საკრეფი მანქანები. პლანტაციებში პირველი გავიდა „ჩუ-1.6“ მანქანა, რომლის მძღოლია ტ. ზარქუა და მეშტურვალე კ. �itia. მათ სამ საათში 256 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს. იმ დღეს მეურნეობაში 16 ტონა ჩაი მოიკრიფა, აქედან ნახევარზე მეტი მანქანებით. როგორც მექანიზატორებმა გვიამბეს, ნორმალური მუშაობისას დღეში ერთი მანქანის წარმადობა 1,5 ჰექტარს შეადგენს და ამ სამუშაოსაგან 30 მკრეფავი თავისუფლდება. პირველმა დღემ კარგი შედეგი აჩვენა. მიუხედავად იმისა, რომ მეშტურვალეები და მძღოლები ჯერ კიდევ გამოუცდელები არიან.

სოფლის მეურნეობის ტექნიკის სახელმწიფო სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს ჩაის საკრეფი მანქანების ჯგუფის ხელმძღვანელმა ამხ. გ. კოპალიანმა პირველი დღის შედეგებზე თქვა:

— რა თქმა უნდა, მიღებული შედეგი არ გვაკმაყოფილებს, ვცდილობთ მეტი წარმატება მოვიპოვოთ და ღრმად ჩაეწვდეთ ჩაის საკრეფი მანქანის მუშაობის საიდუმლოებას.

* * *

სურათზე: ჩაის ფოთლის მექანიზებული კრეფა ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში.

ფოტო ბ. სოკოლოვისა.

საქართველოს სტუმრები

რამდენიმე დღეს თბილისში სტუმრად იყვნენ ჰანს შოდერი — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს წარმომადგენელი და ლუდვიგ დიტერსი — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის ძველთა დაცვის ინსტიტუტის დირექტორი.

გერმანელმა სტუმრებმა დაათვალიერეს XI საუკუნის ძეგლი — სოფლის კათედრალური ტაძარი, ანჩისხატი, მეტეხი, იყვნენ კომკავშირის ხეივანზე, სადაც მდებარეობს ნარიყალას ციხე.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან ჩამოსული სპეციალისტები იყვნენ საქართველოს ძველ დედაქალაქ მცხეთაში. აქ გაეცნენ დიდებულ სვეტიცხოველს ტაძარს.

„ჩვენ ვიმყოფებით ევროპული საკულტო არქიტექტურის აკვანში“, — განაცხადეს მათ მას შემდეგ, რაც დაათვალიერეს 585-604 წლებში აგებული ჯვარის ტაძარი.

გერმანელი სპეციალისტები ესაუბრნენ თავიანთ ქართველ კოლეგებს, გაუზიარეს კულტურის ძეგლთა დაცვის გამოცდილება. ჩვენ ვხედავთ, თქვეს მათ, თუ რა სიყვარულით ეკიდება ქართველი ხალხი თავის ისტორიას, რა სათუთად უვლის ძველი ხუროთმოძღვრების ოსტატთა ქმნილებებს.

* * *

31 მაისს თბილისში ჩამოვიდა ჯგუფი ჩეხოსლოვაკიის სპეციალისტებისა ქირურგიის დარგში. ჯგუფს ხელმძღვანელობს დიდი მეცნიერი — ქირურგი, ჩეხოსლოვაკიისა და სლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიების წევრი აკადემიკოსი ალოიზ შიმეკ.

თბილისის აეროპორტში მეგობრებს მოძმე ჩეხოსლოვაკიიდან შეხვდნენ საქართველოს დედაქალაქის სამედიცინო საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

სტუმრები თბილისში ჩამოვიდნენ გულის ოპერაციის დარგში გამოცდილების გასაზიარებლად. მათ ქართველ ქირურგებს საჩუქრად ჩამოუტანეს უახლესი აპარატი სისხლის ხელოვნური მიმოქცევისათვის, ჩეხოსლოვაკიის მედიკოსები გაიცნობენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის თბილისის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიისა და ჰემატოლოგიის ინსტიტუტის მუშაობას, ქართველ ქირურგებთან ერთად განახორციელებენ გულის მთელ რიგ ოპერაციებს. (საქდესი).

უპატაკებენ სამშობლოს

◆ **ყალტუბო,** (საკ. კორ.). რაიონის მშრომელები წარმატებით იბრძვიან იმისათვის, რომ ვადამდე შეასრულონ ნაკისრი ვალდებულება. 1 ივნისისათვის რაიონში მოკრეფილია 890,5 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

სოფელ მაღლაკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ რაიონში პირველმა გადამეტებით შეასრულა ჩაის კრეფის მაის-ივნისის დავალება. აქაურმა მეჩაიეებმა მოკრიფეს 51 ტონა პირველი ხარისხის ნედლეული, რითაც ორი თვის გეგმა 102 პროცენტით შეასრულეს. ამ კოლმეურნეობის მკრეფავმა ნინო მიქაბერიძემ სულ მოკრიფა ერთ ტონაზე მეტი.

◆ **ლესიხინის** ჩაის საბჭოთა მეურნეობამ ვადამდე 29 მაისისათვის გადაჭარბებით შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის მაისის ვალდებულება. მოკრეფილია 245 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 206 და ვალდებულებით ნაკისრი 240 ტონისა. ჩაის ნედლეულის კრეფა წარმატებით გრძელდება.

◆ **ჩხოროწყუს** რაიონის მოწინავე კოლმეურნეობებმა ვადაზე 5 დღით ადრე გაანაღდეს ჩაის ფოთლის კრეფის მაისის დავალება. ქვედა ჩხოროწყუს კოლმეურნეობა „ლენინის დროშას“ უნდა მოეკრიფა 72,6 ტონა ჩაის ფოთოლი, მოკრიფა 73 ტონა და 1 ივნისამდე დამატებით მოკრიფა 12 ტონა. ამავე კოლმეურნეობის მეოთხე ბრიგადამ მაისში გეგმის გადამეტებით მოკრიფა 5 ტონა ჩაის ნედლეული.

სოფელ ზუმის კოლმეურნეობა „საქართველომ“ გეგმით გათვალისწინებული 10,5 ტონის ნაცვლად მოკრიფა 11,5 ტონა. დაწინაურდნენ სოფელ კირცხის მეოცე პარტიორლობის სახელობის კოლმეურნეობის მერვე და მეშვიდე ბრიგადების პირველი და მეორე რგოლები. ისინი ამ დღეებში გეგმის გადამეტებით კრეფენ ჩაის ფოთოლს.

თანამედროვე ამოცანების დონეზე ავიყვანოთ

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველდღიურ მზრუნველობას იჩენენ საგამომცემლო საქმის განვითარებისათვის. ყოველწლიურად იზრდება წიგნების, ბროშურების, ჟურნალების, გაზეთების გამოშვება. შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებულია გეჭდვითი პროდუქციის გამოშვების კიდევ უფრო მაღალი ტემპი. დიდი და მნიშვნელოვანი ამოცანების შუქზე მნიშვნელოვნად იზრდება ჩვენი გამომცემლობებისა და პოლიგრაფიული მრეწველობის საწარმოთა როლი. ამ საკითხებისადმი იყო მიძღვნილი გამომცემლობათა და პოლიგრაფიული მრეწველობის მუშაკების რესპუბლიკური თათბირი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მუშაკთა მონაწილეობით, რომელიც გაიმართა 31 მაისს.

მოხსენებით რესპუბლიკის გამომცემლობათა და პოლიგრაფიული მრეწველობის მდგომარეობისა და საქმიანობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. გ. ნ. ჯიბლაძე.

გ. ნ. ჯიბლაძის მოხსენება

ამხანაგებო!

უკანასკნელი პერიოდი იმდენად აღსავსეა მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენებით, რომ შეუძლებელია კალენდრიობის ისტორიაში მათ პრეცედენტი აღმოუჩენდეთ. დაძაბული საერთაშორისო ვითარებას თან ახლავს გიგანტური აღმოჩენები მეცნიერების დარგში, ხოლო კოსმოსის დაპყრობისათვის ლაშქრობა ამსჭვრეტს ადამიანის მიერ ოდესღაც წარმოდგენილ ფანტასტიკურ ვარაუდებსაც. ორი მსოფლიო სისტემის — სოციალიზმისა და კაპიტალიზმის თანაარსებობის პირობებში მშვიდობიანი ეკონომიური შეჯიბრება ერთადერთი მართებული გზაა, რომელსაც მსოფლიოს ხალხები მხარს უჭერენ, თუ მხიდველობაში არ მივიღებთ კაპიტალისტური სამყაროს აგრესიულ იმპერიალისტურ წრეებს. ამერიკის შეერთებული შტატების დღევანდელი მმართველობის უგუნური პოლიტიკა, რამაც უმაღლეს დონეზე თითბირი კატასტროფამდე მიიყვანა, მსოფლიო პროგრესული აზრის აღმფოთებას იწვევს და ეს აღშფოთება დღეიდან კრძალდება. მაგრამ მშვიდობის ძალები იმდენად ძლიერია დღეს, რომ ხვალ მათი გამარჯვება მაინც აუცილებელი იქნება, ვინაიდან თანამედროვე პირობებში, როცა ატომური და რაკეტული იარაღი მომავალ პოტენციურად მეომარ სახელმწიფოთა ხელშია, უაზრობად აქცევს ომს, როგორც სადავო საკითხების გადაჭრის საშუალებას.

ჩვენ გამოვდიგართ მთელი მსოფლიოს მოწინავე საზოგადოებრივი აზრის მეთაურად და გვჯერა, რომ საღი გონება აუცილებლად გაიმარჯვებს უმეცრებასა და უგუნურებაზე, კაპიტალისტური სამყაროს დღევანდელ მმართველთა ხვედრი რომ გამხდარა.

საბჭოთა კავშირი კომუნისტური პარტიის, პირადად ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ხელმძღვანელობით თავდადებულად იბრძვის მშვიდობის საქმისათვის მთელ მსოფლიოში, საბჭოთა ხალხის ბედნიერი ცხოვრების უზრუნველსაყოფად, კაცობრიობის ოცნებისა და იმედის — კომუნიზმის მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად.

ეკონომიურ სფეროში ჩვენი ქვეყნის უდიდესი მიღწევები ერთხელ კიდევ ნათლად მოწმობენ იმ შედეგთა სავსებით რეალურ ხასიათს, რაც ასე მკაფიოდ აჩინა გამოხატული ჩვენი პარტიის XXI კონგრესზე. ამერიკის შეერთებული შტატების ოლიგარქიული მმართველობის ერთადერთი მართებული გზაა, რომელსაც მსოფლიოს ხალხები მხარს უჭერენ, თუ მხიდველობაში არ მივიღებთ კაპიტალისტური სამყაროს აგრესიულ იმპერიალისტურ წრეებს. ამერიკის შეერთებული შტატების დღევანდელი მმართველობის უგუნური პოლიტიკა, რამაც უმაღლეს დონეზე თითბირი კატასტროფამდე მიიყვანა, მსოფლიო პროგრესული აზრის აღშფოთებას იწვევს და ეს აღშფოთება დღეიდან კრძალდება. მაგრამ მშვიდობის ძალები იმდენად ძლიერია დღეს, რომ ხვალ მათი გამარჯვება მაინც აუცილებელი იქნება, ვინაიდან თანამედროვე პირობებში, როცა ატომური და რაკეტული იარაღი მომავალ პოტენციურად მეომარ სახელმწიფოთა ხელშია, უაზრობად აქცევს ომს, როგორც სადავო საკითხების გადაჭრის საშუალებას.

ჩვენ გამოვდიგართ მთელი მსოფლიოს მოწინავე საზოგადოებრივი აზრის მეთაურად და გვჯერა, რომ საღი გონება აუცილებლად გაიმარჯვებს უმეცრებასა და უგუნურებაზე, კაპიტალისტური სამყაროს დღევანდელ მმართველთა ხვედრი რომ გამხდარა.

საბჭოთა კავშირი კომუნისტური პარტიის, პირადად ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ხელმძღვანელობით თავდადებულად იბრძვის მშვიდობის საქმისათვის მთელ მსოფლიოში, საბჭოთა ხალხის ბედნიერი ცხოვრების უზრუნველსაყოფად, კაცობრიობის ოცნებისა და იმედის — კომუნიზმის მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად.

ეკონომიურ სფეროში ჩვენი ქვეყნის უდიდესი მიღწევები ერთხელ კიდევ ნათლად მოწმობენ იმ შედეგთა სავსებით რეალურ ხასიათს, რაც ასე მკაფიოდ აჩინა გამოხატული ჩვენი პარტიის XXI კონგრესზე. ამერიკის შეერთებული შტატების ოლიგარქიული მმართველობის უგუნური პოლიტიკა, რამაც უმაღლეს დონეზე თითბირი კატასტროფამდე მიიყვანა, მსოფლიო პროგრესული აზრის აღშფოთებას იწვევს და ეს აღშფოთება დღეიდან კრძალდება. მაგრამ მშვიდობის ძალები იმდენად ძლიერია დღეს, რომ ხვალ მათი გამარჯვება მაინც აუცილებელი იქნება, ვინაიდან თანამედროვე პირობებში, როცა ატომური და რაკეტული იარაღი მომავალ პოტენციურად მეომარ სახელმწიფოთა ხელშია, უაზრობად აქცევს ომს, როგორც სადავო საკითხების გადაჭრის საშუალებას.

გამომცემლობათა და პოლიგრაფიული მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშაობის გაძლიერებას სამეცნიერო და შემოქმედებით ინტელიგენციაში.

უკანასკნელ ხანებში ქართველმა მკითხველმა არაერთი ძვირფასი წიგნი მიიღო. მხიდველობაში გვაქვს კ. მარქსის „კაპიტალის“ სამივე ტომის ახალი თარგმანი, ლენინის თხზულებათა მე-4 გამოცემის 36 ტომი, „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია“, „საქართველოს ისტორიის“ პირველი ტომი, „მოგონებანი ლენინზე“ და მრავალი სხვა. გამოიცა აგრეთვე წიგნები, ბროშურები, პლაკატები პარტიის XXI ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმების მასალების მიხედვით. მცირე რაოდენობით როდი დაიბეჭდა მხატვრული, სამეცნიერო-ტექნიკური, სასოფლო-სამეურნეო და სამედიცინო ლიტერატურა. გაუმჯობესდა საშუალო სკოლებისათვის სახელმძღვანელოებისა და სასწავლო-მეთოდური ლიტერატურის გამოცემა.

მაგრამ ჯერ იმდენი ნაკლი გვაქვს, რომ თუ ჩვენ მიერ გამოცემული ლიტერატურის საერთო ანალიზს დასკვნას გავიკეთებთ, უთუოდ მივალთ შემდეგ ჭეშმარიტებამდე: მთელი რიგი წიგნების მეცნიერულ-თეორიული დონე დაბალია, ადგილი აქვს უხეშ შეცდომებს, მდიდარი ქართული ენის დამახინჯებას, წიგნების ერთი ნაწილი სავსეა კორექტურული შეცდომებით.

რაც შეეხება პოლიგრაფიულ მხარეს, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მსოფლიოში ერთ-ერთი ულამაზესი ქვეყანა ვართ და გვაქვს მაღალი ესთეტიკური გემოვნება, ჩვენს მიერ გამოცემული ზოგიერთი წიგნი იმდენად ულამაზოა, რომ ამ მხრივ არავითარ თავმოყვარეობასა და პატრიოტიზმს არ ამჟღავნებს.

თქვენ შეგიძლიათ ნახოთ წიგნები, რომლებიც ერთი შეხედვით თეორიულ პრობლემებს შეეხებიან, მაგრამ არსებითად წარმოადგენენ კომპილაციას, ან კიდევ გრძელ-გრძელი ციტატების კრებულს. დაუფარავად შეიძლება ითქვას, რომ ასეთი წიგნის გამოცემა ბიბლიოთეკის ყოველ კულტურულ მუშაკს შეუძლია. ცოტა როდია შემთხვევა, როდესაც ავტორები ბიბლიოთეკარებისა და ბიბლიოფილების დახმარებით სწრაფად ადგენენ ვრცელ-ვრცელ ტომებს, შემდეგ კი გამომცემლობათა კარებზე დგანან და მათი „ნაშრომის“ დაბეჭდვას მოითხოვენ, მაშინ როცა ვერ ვახერხებთ გამოცემის დროზე და დაუგიანებლად ქართული, რუსული, ევროპული ლიტერატურის ალისტოლებები. მოძმე სომხეთისა და აზერბაიჯანის გამოჩენილი მწერლების თხზულებანი.

ვფიქრობ, დამეთანხმებით, თუ ვიტყვი, რომ სამარცხვინო უნდა იყოს 1960 წელს დაბეჭდილი არა გვქონდეს ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის თხზულებათა მრავალტომიანი გამოცემები, რომლებიც ამ 10-20 წლის წინათ დაიწყეთ და დღემდე არ დაგვიმთავრებია. დღემდე არ არის გამოცემული ილია ჭავჭავაძის ათტომეული და აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებული. ილიას ხუთტომეულიც კი. რომლის გამოცემა 1937 წლიდან დაიწყო. 23 წლის მანძილზე ვერ იქნა და ვერ დამთავრდა.

შესაძლოა ეს იმიტომაც ხდება, რომ ზოგიერთი სარედაქციო კოლეგია, რომელსაც ეს ოიდი საქმე მიენდო, სხვას არ აძლევს საშუალებას იმუშაოს, თვითონ კი გამოცემას ასე აჭიანურებს.

მე არ გავაგრძელებ ანალოგიური ფაქტების ჩამოთვლას. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ რესპუბლიკის გამომცემლობანი ჩვენი დაწესებულებებია, ჩვენს საქმის ემსახურებიან და ჩვენვე უნდა შეგუწყოთ ხელი მათი მუშაობის სწორ გზაზე დაყენებას. თუ დაინტერესებული ვართ გამოვცეთ საოჯახო წიგნები, გამოვცეთ კარგი, ლამაზი. ამავე ორს უნდა ვცდილობდეთ ანგარიში გაეწიოთ გამომცემლობათა ინტერესებსაც და ყოველმხრივ შეეწყოთ ხელი მათი მუშაობის ნამდვილად მკვიდრ ნიადაგზე თაყვანებას. ზოგჯერ კი ისე ხდება, რომ ავტორი გამომცემლობას ეკიცრის ოთხორიც თავის მსახურს, მაგრამ თვითონაც რომ მისი მსახური უნდა იყოს, ეს ავიწყდება.

თუ ოდესღაც ჩვენ გამოსაცემი ბევრი არაფერი გვქონდა, იმიტომ რომ ისტორიული მასალების დიდი ნაწილი აღმოჩენილი არ იყო, არც ბევრი ავტორი გვყავდა და მათ ვიძიებდით, ამჟამად სურათი სრულიად შეცვლილია. ყველაფერი ის, რაც ახლა იწერება, მოცულობით ის დიდია, რომ 2-3-ჯერ მეტ პოლიგრაფიულ ბაზას მოითხოვს, ვიდრე გვაქვს. მაშასადამე, წარმოდგენილი ლიტერატურიდან შეგვიძლია საუკეთესო გამოვიცეთ, გულდასმით შერჩევისა და ორიგინალზე სიროიზული მუშაობის შედეგად. მაგრამ არის ორიგინალზე მუშაობის სხვადასხვა პირობები. ყველზე მართალი გზა — ეს თვით ავტორის გულდასმით მუშაობაა თავის წიგნზე.

ვისაც მეცნიერებასთან საქმე აქვს, არ შეიძლება არ იცოდეს, რომ ყოველგვარი მეცნიერული მუშაობა თავისებურ ლაბორატორიას გულისხმობს. ამ ლაბორატორიაში ყველფერს ანალიზის გზით გარკვეულ აღმოჩენებამდე მივყავართ. ეს უკანასკნელი აუცილებლად იბეჭდება. მაგრამ არა გვგონია რომელიმე სერიოზულმა მეცნიერმა თავისი ლაბორატორიის ნედლი მასალები გამოფინოს თვართო მკითხველის წინაშე და მოითხოვოს მათი ბეჭდური სახით გამოცემა, თუ კი რაღაც აუცილებლობით არ იქნა გამოწვეული. ამბობენ, იქნის ტომად არის გაბზარახული გამოიცეს ისტორიის უახლესი პერიოდის დოკუმენტური მასალებიო. თრიად სიმპათიური საქმეა. მაგრამ არა გვგონია უმჯობესი არ იყოს იქნეს ტომის ნაცვლად ჯერ გამოგვეცეს ფართო მკითხველი მასისათვის ერთი ან ორი ტომი და ამით დავკმაყოფილებულიყავით. ახლა კი რა გამოდის? გვინდა იქნეს ტომი გამოვიცეთ და ქაღალდის უქონლობის გამო დღემდე ვერც ერთი ვერ გამოგვიცია.

არავის არ შეუძლია თქვას, რომ ისტორიულ მეცნიერებაში ცოტად თუ ბევრად ღირებული ნაშრომი გამოიცემის ღირსი არ იყოს ან ჩვენ მას არ ვბეჭდავდეთ, მაგრამ ზოგჯერ ნამდვილად ადგილი აქვს წარსულის იდეალიზაციას და ქართველი ხალხისათვის ე. წ. ზოგიერთი ცრუპატრიოტის მიერ ისეთი ღირსებების მიწერას, რასაც თვით ხალხი არ საჭიროებს. ჩვენ იმდენად მდიდარი წარსული გვაქვს, რომ ყოველთვის შეგვიძლია ვიამაყოთ ჩვენი ისტორიის როგორც ფოლიანტებით, ისე მისი გმირული სულითაც. ამიტომ არ გვესაჭიროება მივიწეროთ ის, რაც არ გვქონია.

ყველა გრძნობს, რომ გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ ძალიან რთულ პირობებში უხდება მუშაობა. ამიტომ იქ ყველაზე მეტად არის საჭირო ორგანიზებულობისა და წესრიგის დამყარება. ამ მხრივ დამახასიათებელია საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გამომცემლობა. 1959 წელს მას უნდა დაებეჭდა 17 დასახელების წიგნი, ფაქტიურად სახელმძღვანელები, მაგრამ დასრულებული 8 წიგნი, ხოლო 550 თაბახის ნაცვლად 585 თაბახი, ე. ი. თაბახთა რაოდენობის მიხედვით გეგმა გადაჭარბებით შესრულა, მაშინ როცა დასახელების რაოდენობის მიხედვით სანახევროდაც არ შეუსრულებია.

ზოგიერთი გამომცემლობა არავითარ ანგარიშს არ უწევს წიგნის ტირაჟს, მისი გასაღების უნარს. ჩვენ უარყოფთ გამომცემლობათა მუშაობაში რაიმე მერკანტილისტურ მიდგომას ლიტერატურისადმი, უწინარეს ყოვლისა მკითხველის მოთხოვნილება და მეცნიერების წარმატება გვაინტერესებს, მაგრამ ელემენტარული გონივრულობა, მეურნეობრივი თვალი და გამომცემლობის ფინანსური საქმიანობა მისთვის მინიმალურ მოთხოვნათა სფეროს მაინც უნდა წარმოადგენდეს. ამ მომენტის გაუთვალისწინებლობა ბევრ გამომცემლობას ხელს უშლის და ყველაზე მეტად სამედიცინო რედაქცია, რომელსაც უჭირს არა მარტო სპეციალური ლიტერატურის დაბეჭდვა, არამედ დღემდე ვერ განუხორციელებია აკადემიკოს ი. პაველოვის რჩეული ნაწერების მეორე წიგნისა და გამონენილი ქართველი ფიზიოლოგის აკადემიკოს ივანე თარხნიშვილის რჩეული ნაწერების ერთტომეულის გამოცემა. ამ წიგნებზე დიდი მოთხოვნილებაა და გასაღების მხრივაც საქმე არ დაბრკოლდებოდა. მე მითხრეს: აკადემიკოს თარხნიშვილის ერთტომეული, მიუხედავად იმისა, რომ ორიგინალში მზად არის, 1960 წლის გეგმაშია არ შეუტანიათ. ეს არ უნდა იყოს გამართლებული, მით უფრო სამედიცინო რედაქციამ ცოტა როდი გამოსცა ისეთი წიგნები, რომლებიც ამჟამად ჩაწოლილია.

ბევრი რამ შეიძლებოდა გვეთქვა მხატვრული ლიტერატურის გამოცემის შესახებ. უკანასკნელ წლებში, განსაკუთრებით 1955 წლიდან, მხატვრული ლიტერატურის გამოცემა სასურველ სახეს იღებს. ეს ეხება რაოდენობრივ მხარესაც. 1959 წელს სულ გამოცემულ იქნა 393 სახელწოდების წიგნი 4.626.500 ცალი ტირაჟით, მაშინ როცა 1955 წელს გამოვიდა მხოლოდ 250 სახელწოდების წიგნი 2.422.500 ცალი ტირაჟით, ე. ი. შარშინ თითქმის ორჯერ მეტი გამოვიდა. დაიბეჭდა საბჭოთა მწერლების — კ. გამსახურდიას მესამე ტომი, ფადეევის „ახალგაზრდა გვარდია“, აკადემიკოს კ. კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ პირველი ტომი, ი. ნონეშვილისა და რ. მარგიანის ერთტომეულები და მრავალი სხვა.

ჩვენ ვეშვიდებით დიდი ერონული ფილისწყლოსანთვის. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებას მალე 40 წელი შეუსრულდება. არა გვგონია ზედმეტი იყოს იმის ხაზგასმა, რომ ყველა, ვინც პატრიოტია, ვისაც თავისი ხალხის სამსახური თავისივე შეგნებული ცხოვრების მიზნად დაუსახავს, ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ამ თარიღთან დაკავშირებით სამშობლოს საჩუქრად მიუძღვნას საკუთარი ნიჭის ყველაზე საუკეთესო შედეგი. მეცნიერებს, მწერლებს, კინომუშაკებს, მსახიობებს, ფერმწერლებს, კომპოზიტორებს, კულტურის ყველა მუშაკს თავის ამოცანად უნდა მიაჩნდეს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წელი აღნიშნოს ახალი წარმატებებით, ახალი მიღწევებით. ჩვენ უნდა შეექმნათ საუკეთესო სიმღერა საბჭოთა საქართველოზე. ფერმწერლებმა უნდა მოგვიკონ ულამაზესი ტილოები, რომლებიც განადიდებენ ჩვენს ეპოქას და დარჩებიან ხელოვნების ისტორიას. ახლა დიდი ალმავლობაა შემოქმედებითს ორგანიზაციებში, ჩვენს გამომცემლობებში, და იმედი გვაქვს, რომ ეს აღმავლობა არ შენელდება. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავზე გამოვფენთ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ხალხის საუკეთესო შვილების შემოქმედებითი აზრისა და ენერგიის ყველაზე საუკეთესო ნიმუშებს.

ჩვენ დიდი სიყვარულით ვიქცევთ ყველა შემოქმედს, პატივს ვცემთ ჩვენს ნიჭიერ ახალგაზრდობას.

ჩვენს დროში პოეტი უწინარეს ყოვლისა საზოგადო მოღვაწე უნდა იყოს. ზოგიერთი ჩვენი ამხანაგი კი ისეთ მეურვეობას იჩენს ახალგაზრდა პოეტისადმი, რომ ამით ცუდ სამსახურს უფრო უწევს მას, ვიდრე ეხმარებოდეს. აიღეთ სამხრეთ ოსეთის მაგალითი. იქ საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელი ამხანაგებ-ს ჩარევით და გამომცემლობის ყოფილი დირექტორის ამხ. ბეკოევის ინიციატივით გამოცემულ იქნა ხარიზოვის რომანი „განძი“, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მწერალთა კავშირის სამხრეთ-ოსეთის განყოფილება და თვით საოლქო კომიტეტის სათანადო განყოფილება წინააღმდეგი იყო. რა გამოვიდა? ეს, რომ დაიბეჭდა რომანი, რომელსაც არა აქვს არავითარი მხატვრული ღირსება და იგი არსებითად ლიტერატურის მიღმა დგას. ჩვენ ასევე ვერ მოვიწონებთ აჭარის სახელმწიფო გამომცემლობის ნაბიჯს, როცა მან გამოსცა „ქალის კალენდარი“. ეს წიგნი უთუოდ საჭიროა. მის შემდგენელთ ეტყობა ბევრი უმუშავნიათ, ბევრი კარგი შასალაც შეუგროვებიათ. მაგრამ აჩქარებამ და დაუკვირვებლობამ, აგრეთვე დაბალმა პოლიგრაფიულმა შესრულებამ პირდაპირ დააყენა საკითხი წიგნის აკრძალვის შესახებ. მაგრამ რა უნდა გვექნა? გაწეულია უდიდესი ხარჯი, წიგნი უკვე დაბეჭდილია და ჩვენ იძულებული ვიყავით მისი გავრცელების ნებართვა მიგვეცა. ჯერ ერთი, რომ წიგნი ძალიან დიდია, თითქმის 47 ნაბეჭდ თაბახს შეიცავს. არც ერთი სურათი, რომელიც მასშია მოთავსებული, დამაკმაყოფილებელი არ არის, აწერია სახელი და გვარი, მაგრამ არავის ცნობა არ შეიძლება. ასე ცუდად მგონი 50-60-იანი წლების „ცისკარი“ არ იბეჭდებოდა. წიგნზე რომ მეტი ემუშავნათ, დაეხვეწათ და პოლიგრაფიულად მაღალხარისხოვნად შეესრულებინათ, მოიგებდა გამომცემლობა, მოიგებდა ავტორთა კოლექტივი, მოიგებდა მკითხველი. ახლა კი მძიმე მდგომარეობაშია ერთიც, მეორეც. მესამეც და მძიმე მდგომარეობაში ვართ ჩვენც, ვინაიდან ამ წიგნის გავრცელების ნებართვა ვიკისრეთ. „ქალის კალენდარი“ მართლაც უნდა გამოვცეთ, მაგრამ კარგად, მაღალხარისხოვნად, უზადო პოლიგრაფიულ შესრულებით.

ჩვენ დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ როგორც სასკოლო სახელმძღვანელოების მაღალხარისხოვნად გამოცემას, ისე საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის ბეჭდვას. მისასალმებელია, რომ „ნაკადულმა“ ბოლო ხანებში თემატიკა მრავალფეროვანი გახადა, შექმნა ისეთი სერიები, როგორიც არის გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება, სათავგადასავლო ლიტერატურა და სხვ. წელს განზრახულია გამოიცეს წიგნები: „ლენინი და ახალგაზრდობა“, „კომუნისტური ზნეობის პრინციპები“, „საქართველო შვიდი წლის შემდეგ“ და სხვ. მაგრამ, ვფიქრობ, „ნაკადულმა“ მეტი უნდა გაეკეთოს ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცების შესახებ მიღებულ კანონთან დაკავშირებით და გაითვალისწინოს ის ახალი ამოცანები, რომლებსაც სახალხო განათლების მთელი სისტემის რეორგანიზაცია ჩვენს წინაშე აყენებს.

ზემოთ საუბარი გვქონდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის შესახებ. ამ გამომცემლობას აკადემიის პრეზიდიუმი უწევს კონტროლს, ფაქტიურად კი აკადემიკოსი ნ. კეცხოველი ხელმძღვანელობს. ძალიან მკაცრად აკრიტიკებენ აკადემიის მიერ გამოცემულ ისეთ ნაშრომებს, როგორიც არის „ძველი თბილისის ზოგიერთი საქორწინო ადათ-წესულებანი“, „ცახეთის ტიპის ხანჯალი“, „საქართველოს სუბტროპიკული რაიონების ბეღურასნაირი ჯიშები“, „არაგვის ხეობის წყლის წისქვილები“ და სხვ. ჩვენ ვთხოვთ მეცნიერებათა აკადემიას, მის პრეზიდიუმს, აგრეთვე აკადემიკოს ნ. კეცხოველს გაითვალისწინონ ის კრიტიკული შენიშვნები, რომლებიც გაკეთდა აკადემიის გამომცემლობის მიმართ, და მიიღონ ზომები აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. არ ვფიქრობთ, რომ ჩამოთვლილი წიგნების თემატიკა საჭირო არ იყოს, მაგრამ მოცულობა ამ წიგნებისა მართლაც დამაფიქრებელი და გაუმართლებელია.

საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტმა აშკარად უხეში შეცდომა დაუშვა, როცა დიდი ტირაჟით გამოსცა სამედიცინო ცურვისკრული ბროშურა „სათითეული“. რაზეა ამ წიგნში საუბარი? მასში აღწერილი და ილუსტრირებულია, თუ როგორ უნდა მივაყენოთ ადამიანს დასახირავა ხელსურული საბრძოლო რგოლების საშუალებით. შეიძლება ეს წიგნი მცირე ტირაჟით სპეციალურად გამოცემულიყო რომელიმე დაინტერესებული დაწესებულებისათვის, თუკი ასეთი ფიზიკურად არსებობს, მაგრამ მისმა მასობრივმა გავრცელებამ ხალხში ადვილად შესაძლებელია გამოიწვიოს ის სავალალო ანტისაზოგადოებრივი მოქმედება, რასაც თვითეული ჩვენგანი ვებრძვით, და სარგებლობის ნაცვლად ძალიან დიდი ზიანი მიაყენოს მოსახლეობას. აქ საჭირო იყო დაკვირვება, რისი უნარიც ინსტიტუტმა, სამწუხაროდ, არ გამოიჩინა.

ვერ გავამართლებთ საქართველოს ვაჭრობის სამინისტროს, როცა დაბეჭდა, ისიც ზღარბული ტირაჟით (23 ათასი ცალის რაოდენობით) უკულტურად შედგენილი წიგნი „საბჭოთა ვაჭრობის დაკვალდრება და განვითარება აჭარის ასს რესპუბლიკაში“. ახლა გასაკვირველი არ არის, რომ ეს წიგნი **ვაჭრობის** შესახებ ჩაწოლილია სწორედ **ვაჭრობის** ქსელში.

საქართველოში გამოცემული ყველა წიგნი უნდა იყოს პოლიგრაფიული გაფორმების მხრივ უნაკლო, უზადო და ისეთივე ლამაზი, ისეთივე მიმზიდველი, როგორიც ჩვენი სამშობლოა. გვაქვს ასეთი წიგნები? დიახ, გვაქვს, მაგალითად, შესანიშნავად გამოიცა პირველი კლასის სახელმძღვანელო „დედა ენა“ (გამოსცა „ცოდნამ“), „საქართველოს პოეტები ლენინს“ (გამოსცა „ზარია ვოსტოკამ“) და მრავალი სხვა. მაგრამ, ამავე დროს, ნუ დაგავიწყდება, რომ მეოთხე კლასის სახელმძღვანელო „ქართული ენა“ დამამცირებელია ჩვენი პოლიგრაფიული მრეწველობისათვის და იმდენად პრიმიტიულია, რომ ელემენტარულ კრიტიკას ვერ უძლებს. ან კიდევ: „საბჭოთა ფერწერა“ დაბეჭდილი მაღალხარისხოვან ქაღალდზე, მაგრამ ბეჭდვის ხარისხი სრულიად გაუმართლებელია.

ბევრი რამ დამოკიდებულია შრიფტზე.

ვფიქრობ დადგა დრო, როცა პრაქტიკულად უნდა მოვკიდოთ ხელი საშრიფტო მეურნეობის მოწესრიგებას. ჩვენი შრიფტი ლამაზი და ხატოვანია, მაგრამ მისი გაუმჯობესება დაუსრულებლად შეიძლება. ეს საქმე კი დღეს იმდენად ჩამორჩენილია, რომ პირდაპირ გაკვირვებას იწვევს როგორ უნდა მოვითმინონო, რომ დღემდე არ გვქონდეს ლამაზი სატიტულო, საგაზეთო, სასკოლო, სარეკლამო და სხვა შრიფტები. უნდა ვეცადოთ გავატაროთ რაიმე ღონისძიება, რომელიც მეცნიერებათა აკადემიასა და კულტურის სამინისტროს გაერთიანებს, რათა მეცნიერი მუშაკები და ფერმწერლები აქტიურად ჩავიბათ საშრიფტო მეურნეობის მოწესრიგების საქმეში, შეექმნათ შრიფტების თუნდაც მცირე მოცულობის სამეცნიერო-საკვლევი ლაბორატორია. პოლიგრაფიული სამმართველო, ამხ. გ. ხუციშვილი ამ მხრივ დაინტერესებას იჩენენ. მოხარული დავრჩი, როცა აკადემიკოსმა ა. შანიძემ და პროფესორმა პ. გუგუშვილმა სპეციალურად წამოაყენეს ეს საკითხი ჩვენს წინაშე პრაქტიკულ ღონისძიებების გასატარებლად. უახლოეს ხანში ამ საკითხს ალბათ მართლაც დავაყენებთ პრაქტიკულ ნიადაგზე.

ერთია გამოსცე კარგი წიგნი და მეორეა შესძლო მკითხველამდე მისი მიტანა. სასიხარულოა, რომ საქწიგნმა და ცეკავშირმა უკანასკნელ ხანებში ერთგვარად გაუმჯობესეს მუშაობა. ამის შედეგი იყო ის, რომ 1959 წელს საქწიგნმა გეგმა 108 პროცენტით შეასრულა და 72 მილიონი მანეთის ნაცვლად მოსახლეობას 78 მილიონი მანეთის ლიტერატურა მიაწოდა. ეს იმას ნიშნავს, რომ 1958 წელთან შედარებით მოსახლეობამ 6 მილიონამდე მანეთით მეტი ღირებულების ლიტერატურა მიიღო. მისასალმებელია აგრეთვე, რომ ფართოდ ინერგება წიგნით ვაჭრობის პროგრესული ფორმები, გაუმჯობესდა ამ დარგში პროპაგანდა. ცეკავშირმაც წიგნის რეალიზაციის გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა, მოსახლეობას 25 მილიონის ნაცვლად 34 მილიონი მანეთის ლიტერატურა მიაწოდა. მაგრამ ამ მხრივაც ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლი გვაქვს. საქწიგნის მონაცემებით, ამჟამად ჩაწოლილია 64 მილიონი მანეთის ლიტერატურა, რაც ნორმატივს 11 მილიონი მანეთით აჭარბებს. განა სამწუხარო არ არის, რომ საქწიგნის სპეციალური კომისიის მიერ ჩამოსაწერად შერჩეულია მოძველებული და ჩაწოლილი 6.728 სახელწოდების წიგნი? როგორც გამომცემლობებმა, ისე წიგნით მოვაჭრე ორგანიზაციებმა თავიანთ სამოქმედო დევიზად უნდა გაიხადონ დიდი ლენინის შემდეგი სიტყვები: „ჩვენ გვესაჭიროება კულტურის უდიდესი ამაღლება. საჭიროა, რომ კაცმა საქმით გამოიყენოს წარსული და კიბეზე ასვლა, საიდანაც ადამიანობა ავიდა ბინადრობამდე, ეს ასვლა ... ეს ... ეს ... ეს

გამომცემლობებისა და პოლიგრაფიის მუშაობა

მოხსენების გამო გაიმართა კამათი.

უკანასკნელ დროს, თქვა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარემ **გ. წერეთელმა,** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ გაიუმჯობესა თავისი მუშაობა. ბეგრმა ინსტიტუტმა გამოსცა მთელი რიგი ძვირფასი შრომები, რომლებსაც დიდი მეცნიერული და შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნაშრომები ენათმეცნიერების ინსტიტუტისა, რომელმაც გამოსცა ქართული და რუსული ენის სახელმძღვანელოები, ტერმინოლოგიის ლექსიკონები მეცნიერებისა და ტექნიკის ცალკეულ დარგებში, რომლებიც განკუთვნილია უმაღლეს სასწავლებლებთა მოსწავლეებისა და დაინტერესებული მკითხველისათვის.

მაგრამ ჩვენი გამომცემლობის საქმიანობაში არის სერიოზული ნაკლოვანებებიც. რომლებიც სპეციალური განხილვის საგანი გახდა. ზოგიერთი მეცნიერი გატაცებულია ისტორიული თემატიკით, ამასთან მათს შრომებში ხშირად იდეალიზებულია ქართველი ხალხის წარსული. ისინი იქამდე მიდიან, რომ დაუსაბუთებლად მიაწერენ ჩვენს ხალხს ბევრ რამეს და ამით საეჭვოს ხდიან მის ნამდვილ დამსახურებას.

ორატორს მოჰყავს საქართველოს გამჩენილ ადამიანთა შემოქმედებითი მემკვიდრეობისადმი ცალკეულ მეცნიერთა უპასუხისმგებლო დამოკიდებულების მთელი რიგი მაგალითები. გამოჩენილი ქართველი მწერლის, მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის სულხან-საბა ორბელიანის დაბადების 300 წლისთავის დღესასწაულის დღეებში გამოვიდა მონოგრაფიები, ნარკვევები, რომლებშიც ავტორები ორბელიანზე წერდნენ როგორც ასტრონომზე, იურისტზე და სხვ., რაც სულაც არ შეესაბამება ჭეშმარიტებას და ძეგერს, რბილად რომ ვთქვათ, დაუდევრად.

სულ უფრო იჩენს თავს მეცნიერთა ტენდენცია გამოსცენ რაც შეიძლება დიდი მოცულობის ნაწარმოებნი, რაც, აქვე რომ ითქვას, სრულიად საჭირო არ არის. ამით განსაკუთრებით გატაცებული არიან ჩვენი ახალგაზრდა მეცნიერები. რესპუბლიკის გამომცემლობათა პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა უშუალენ გეგმებით გაუთვალისწინებელ დიდი მოცულობის წიგნებს, მაშინ როცა ბევრი კარგი და სასარგებლო შრომა თვეობით და წლობითაც კი ელოდება თავის რიგს. ამხ. ნერეთელმა მსმენელთა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ პერიოდულ პრესაში ხშირად იბეჭდება რეცენზიები ახალი წიგნის შესახებ იმავე ავტორებისა, რომლებმაც რეცენზია გაუკეთეს მას გამომცემლობაში. ეს რამდენადმე აბრკოლებს მეცნიერული აზრის განვითარებას, რამდენადაც მკითხველებს ექმნებათ არასწორი შეხედულება ახალ წიგნებზე. სამეცნიერო დაწესებულებათა პერიოდულმა ბეჭდვითმა ორგანოებმა თავიანთ ფურცლებზე მეტი ადგილი უნდა დაუთმონ კრიტიკული ხასიათის მასალებს — მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა რეცენზირებას.

საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილემ ამხ. **ვ. ჭიკოძემ** ილაპარაკა იმაზე, რომ გამომცემლობათა გამსხვილებისა და პოლიგრაფიული მრეწველობის მუშაობის ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შემდეგ, რომლებიც განხორციელდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების შემდეგ, მათი საქმიანობა ბევრად გამოცოცხლდა. გადიდდა წიგნების და განსაკუთრებით იმ ლიტერატურის გამოცემა, რომელიც პრობაგანდას უწევს სკკპ XXI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებებს.

უკანასკნელ ორ წელიწადში საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს გამომცემლობებმა გამოუშვეს მთელი რიგი ისეთი შრომები, როგორიც არის კ. მარქსის „კაპიტალის“ სამივე ტომი ქართულ ენაზე ახალი თარგმანით, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის ახალი სახელმძღვანელო, გამოშვებულია აგრეთვე დიდძალი პოლიტიკური, მხატვრული და დარგობრივი ლიტერატურა.

მაგრამ, აღნიშნავს იგი, სამინისტროს გამომცემლობათა მუშაობას აქვს ნაკლოვანებანი, რომელნიც დიდ ყურადღებას მოითხოვენ. უკვე რამდენიმე წელია გამომცემლობანი ვერ ასრულებენ წიგნების გამოშვების გეგმებს, მაგალითად, რესპუბლიკაში უდიდესმა გამომცემლობამ „საბჭოთა საქართველო“ შარშან წიგნების გამოშვების გეგმა შეასრულა 80,9 პროცენტით. ნაცვლად 550 სახელწოდების წიგნებისა მკითხველმა მიიღო 445 სახელწოდების წიგნები. ეს იმის შედეგი იყო, რომ გამომცემლობათა ხელმძღვანელი მუშაკები და პოლიგრაფიული მრეწველობისა და გამომცემლობათა მთავარი სამმართველო გეგმებს ადგენენ საჭირო მატერიალური რესურსებისა და პოლიგრაფიული ბაზის ტექნიკური შესაძლებლობის გაუთვალისწინებლად.

საგამომცემლო მუშაობის სერიოზული ნაკლია არაორგანიზებულობა გეგმების შედგენაში. პოლიტიკური, მხატვრული, მეცნიერული, საშარამო ლიტერატურის გაფოიკება ისე, რომ წინასწარ არ არის შესწავლილი მოთხოვნილება მასზე. ამიტომ ხშირად გამოდიოდა ისეთი წიგნები, რომლებზეც მოთხოვნილება არ იყო. აჭარის სახელმწიფო გამომცემლობამ შარშან გამოუშვა ნ. ჯაშის წიგნი „ავტომობილისტის ტექმინიმუმი“, რომლის ოცდაათასი 19 სასტამბო თაბახი და ტირაჟია 10 ათასი ცალი. მისი მეტი ნაწილი გაუყიდველი დარჩა, იმიტომ რომ ასეთ ლიტერატურას უშვებს სპეციალური გამომცემლობა „ცოდნა“.

მკითხველს აწვდიან სქელ წიგნებს, მათ უნდება ბევრი ქაღალდი, სახსრები, და ამიტომ მათი ღირებულება მეტად დიდია. დაბალია ლიტერატურის მხატვრული გაფორმების, მისი პოლიგრაფიული შესრულების დონე. ამის მაგალითს წარმოადგენს გამომცემლობა „ნაკადული“ მიერ გამოშვებული წიგნი „ილია ჭავჭავაძე — პორტრეტები და ილუსტრაციები“, „ქალის კალენდარი“, რომელიც აჭარის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოუშვა, და სხვები.

მოხსენებაში მოყვანილი ნაკლოვანებანი, აღნიშნა თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორმა პროფესორმა **ს. ყენტმა,** მთლიანად შეეხება უნივერსიტეტის საგამომცემლო საქმიანობასაც. მან დაწვრილებით ილაპარაკა იმაზე, რომ საჭიროა გაძლიერდეს კონტროლი გამოსაცემი სადისერტაციო თემებისადმი, ილაპარაკა იმაზე, რომ მათ ხელი უნდა შეუწყონ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურის შემდგომ განვითარებას. ასეთი კონტროლის უქონლობა იმის იწვევს, რომ უნივერსიტეტი ზოგჯერ დაბალი ხარისხის ლიტერატურას უშვებს.

უნივერსიტეტის გამომცემლობის მთავარი ამოცანაა შექმნას სახელმძღვანელოები და დამხმარე წიგნები უმაღლესი სასწავლებლებისათვის. მან უკვე გამოსცა პროფესორ კ. კეკელიძის ქართული ლიტერატურის, პროფესორ ა. შანიძის ქართული ენის, ავტორთა კოლექტივის საქართველოს ისტორიის, პროფესორ შ. ამირანაშვილის ქართული ხელოვნების ისტორიის, ავტორთა კოლექტივის საქართველოს არქეოლოგიის სრულფასოვანი სახელმძღვანელოები, თვალსაჩინო მეცნიერების ნ. მუსხელიშვილის, ი. ბერიტაშვილის, კ. ბაქრაძის, ა. ჩიქობავას მთელი რიგი შრომები, რომლებიც გადათარგმნილია სხვა ენებზე და წარმოადგენენ სახელმძღვანელოებს ჩვენი ქვეყნის ბევრი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისათვის.

ამხ. ჟღენტმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ შეიმუშავა სახელმძღვანელოებისა და დამხმარე წიგნების გამოცემის ხუთწლიანი გეგმა. ამ გეგმით გამოცემულ იქნება ერთიორად მეტი წიგნი, ვიდრე წინა ხუთ წელიწადში. მან ყურადღება მიაქცია ისეთ მაგალითებს, როცა ცალკეული ავტორები კეთილსინდისიერად არ ეპყრობიან თავიანთი შრომების მომზადებას გამოსაცემად. ხშირად რედაქტორებსა და ავტორებს შესწორებები შეაქვთ უკვე წიგნის ბეჭდვის პროცესში, რაც ადიდებს გაუთვალისწინებელ საგამომცემლო ხარჯებს და აბრკოლებს წიგნის დროზე გამოცემას.

საჭიროა, თქვა მან, გაძლიერდეს გამომცემლობათა და სარედაქციო საბჭოების კოორდინაცია. ეს გააუმჯობესებს მათს საქმიანობას და თავიდან აგვაცილებს ისეთ შემთხვევებს, როცა ერთი გამომცემლობის მიერ დაწუნებულ ნაწარმოებს მეორე გამომცემლობა იღებს.

გაიზარდა საბჭოთა მკითხველის გემოვნება და მოთხოვნები წიგნის გარეგნული გაფორმებისადმი. მაგრამ ვერც ერთი გამომცემლობა ამ საქმეში სასურველ შედეგს ვერ მიაღწევს, თუ არ გაუმჯობესდა ქაღალდის, საყდე მუყაოსა და სხვა მასალების ხარისხი. უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი სტამბების უმეტესობის ტექნიკური დონე სრულიად არ შეეფერება თანამედროვე მოთხოვნებს. ეს აფერხებს პოლიგრაფისტების შრომის ნაყოფიერების შემდგომ ზრდას, ხელს უშლის ნაბეჭდი პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას.

საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გაგეგმ ამხ. **კ. დოლიძემ** თავისი სიტყვა მიუძღვნა აჭარის სახელმწიფო გამომცემლობის საქმიანობას, რომლის მუშაობაში არსებითი ნაკლოვანებებია. აქ სისტემატურად იფუშებოდა ნაბეჭდი პროდუქციის გამოშვების გეგმები, დაბალი იყო მისი ხარისხი შინაარსისა და პოლიგრაფიული შესრულების მხრივ. წიგნებში დაშვებული იყო აზრობრივი და სტილისტური შეცდომები. პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტმა და კულტურის სამინისტროს კოლეგიამ მიიღეს ღონისძიებანი გამომცემლობის საქმის მოსაწესრიგებლად. უკანასკნელ ხანს მისი საქმიანობა შესამჩნევად გაუმჯობესდა.

შარშან გამომცემლობამ გამოუშვა 48 სახელწოდების წიგნები — რვა სახელწოდების წიგნით მეტი დაგეგმილზე. კურსი აღებულია იმაზე, რომ უახლოეს დროში გამომცემლობამ დაიწყოს მუშაობა უდოტაციოდ. 1960 წლის 5 თვეში გამოცემულია 19 სახელწოდების წიგნები, ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ წლიური გეგმა შესრულდეს ნოემბერში.

გამომცემლობის გეგმაში არის წიგნების, ბროშურების გამოშვება, რომლებიც პროპაგანდას უწევენ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორთა გამოცდილებას, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს. გამოიცა აგრონომსელექციონერ ჯორბენაძის ბროშურა სიმინდის მოყვანის პროგრესული ხერხების შესახებ, შავაძისა და სტეფანაშვილის ბროშურები მოწინავე კოლმეურნეობების — ხულოს რაიონის კოლმეურნეობა „ოქტომბრისა“ და ბათუმის რაიონის კოლმეურნეობა „წინსვლის“ შრომის მეთოდების შესახებ. ამ დღეებში გამოვიდა ბათუმის რაიონის სოფელ მეჯინისწყლის კოლმეურნეობის შესანიშნავი მწველავის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ხ. ბერიძის ბროშურა „როგორ მივიღე 4.405 კილოგრამი რძე თვითეულ ძროხაზე“,

მან მოიყვანა ფაქტები, როცა გამომცემლობა ღსაბავს კომერციულ მიზნებს და დიდი ტირაჟით უშვებს დაბალი მხატვრული და პოლიგრაფიული დონის ლიტერატურას. ასეთებია „ქალის კალენდარი“, ე. რემარკის „სამი მეგობარი“ და სხვ.

ნათქვამი იყო აგრეთვე წიგნის ვაჭრობის ნაკლოვანებებზე, განსაკუთრებით სოფლად. სამომხმარებლო კოოპერაციის ბევრი გამყიდველი მომზადებული არ არის წიგნის ვაჭრობისათვის. სასოფლო მაღაზიებში გამოყოფილი არ არის სპეციალური თაროები ლიტერატურისათვის, იგი ნესტიან შენობებში ყრია და ფუჭდება. სამართლიანი პრეტენზიები გამოთქვა „საქწიგნის“ მიმართ, რომელიც რაიონებში წიგნებს გზავნის სოფლის მოსახლეობის მოთხოვნილების გაუთვალისწინებლად. ხშირად სასოფლო სავაჭრო ქსელი იღებს არასრულ მრავალტომიან გამოცემებს. აღინიშნა არსებითი ნაკლოვანებები პოლიგრაფიული მრეწველობის საწარმოებში.

სკკპ XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა პროპაგანდა, დაუხორმელი ბრძოლა მათი განხორციელებისათვის, ამბობს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორი ამხ. **მ. მაისურაძე,** განსაზღვრავს ჩვენს პრაქტიკულ ამოცანებსა და თემატიკას მთელი შვიდწლედისათვის. ჩვენი გამომცემლობა რესპუბლიკის უდიდესი და მრავალდარგოვანი გამომცემლობაა. მის გეგმებში გათვალისწინებულია პოლიტიკური, მხატვრული, სამრეწველო, ტექნიკური, სასოფლო-სამეურნეო, სამედიცინო, ტურისტული ლიტერატურის დიდძალი ნაბეჭდი პროდუქციის გამოცემა. დიდი მოცულობის სამუშაოები შესრულდა ვ. ი. ლენინის დაბადების 90 წლისთავის ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით. გამოიცა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის მიერ მომზადებული მოგონებები დიდ ბელადზე, აგრეთვე ცალკეულ ავტორთა ნაწარმოებნი. მიძღვნილი ვ. ი. ლენინის სხვადასხვა შრომებისათვის.

მხატვრული ლიტერატურის გამოცემის გეგმაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი კლასიკოსთა, თანამედროვე ქართველ და რუს მწერალთა ნაწარმოებების, საბჭოთა კავშირის მძმე ხალხების მწერალთა, საზღვარგარეთის პროგრესულ ავტორთა ნაწარმოებების გამოშვებას. სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის 45 სახელწოდებიდან, რომლებიც დაგეგმილია მიმდინარე წლისათვის, მეტი წილი მიძღვნილია ისეთი აქტუალური თემებისადმი, როგორიც არის მოწინავე გამოცდილების გაბიარება, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკა და ორგანიზაცია, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროცესების მექანიზაცია და ელექტროფიკაცია.

ამხ. მაისურაძემ აღნიშნა გამომცემლობის მუშაობის ნაკლოვანებებიც. გამოშვებული იყო იდეურად და მხატვრულად სუსტი წიგნები, გამოსაცემად ლიტერატურას ვარჩევდით არა მისი აქტუალობის, არამედ ამა თუ იმ ავტორის განაცხადის მიხედვით. მან აღნიშნა, რომ გამომცემლობას ჯერ კიდევ არა აქვს მჭიდრო კონტაქტი სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებთან, მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლებთან, რაც დიდი ნაკლია.

საგამომცემლო საქმის გაუმჯობესების დიდმნიშვნელოვანი საკითხები აღძრა თავის გამოსვლაში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორმა, ჟურნალ „საქართველოს ეკონომისტის“ რედაქტორმა პროფესორმა **პ. გუგუშვილმა.** მან იმაზეც ილაპარაკა, რომ ჟურნალ-გაზეთებში ხშირად იბეჭდება ასეთი რეცენზიები მეცნიერულ შრომებზე, რომელთა ავტორები ამ დარგის სპეციალისტები ან მცოდნეები არ არიან. რეცენზია უნდა დაეკალოს ისეთ ადამიანებს, რომლებიც დეტალურად ერკვევიან მინდობილ საქმეში.

ორატორი დაწვრილებით შეჩერდა აგრეთვე მთარგმნელობითი მუშაობის გაუმჯობესების საკითხებზე. მან მოიყვანა მაგალითები, როცა ცალკეული ქართველი მთარგმნელები დიდი ჰონორარის გამოდევნებით ისე თარგმნიან ნაწარმოებებს, რომ ამის შედეგად მათი ფორმატი თითქმის ერთიორად აღემატება ორიგინალს.

ამხ. გუგუშვილმა დააყენა ქართული საშრიფტო მეურნეობის მთელ რიგ დებულებათა მოწესრიგების აქტუალური საკითხები.

თათბირზე გამოვიდნენ სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს გამომცემლობათა მთავარი სამმართველოს უფროსი ამხ. **ა. რიბინი** და საქართველოს მთავლიტის უფროსი ამხ. **ბ. შატბეროვი.**

ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ,** რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის სიტყვა

ამხანაგებო!

საკითხი, რომელსაც დღეს განვიხილავთ, განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია, რადგან ეხება ჩვენი გამომცემლობების საქმიანობას. ხოლო, მაშასადამე, ჩვენს კულტურას, მთელ ჩვენს იდეოლოგიურ მუშაობას, რომლის მიზანია თანამედროვე პირობებში წარმატებით გადავჭრათ კომუნისტური მშენებლობის ამოცანები.

კომუნისტთა დიადი პარტია, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი ყოველთვის ბრძნულად წარმართავდნენ და წარმართავენ ლიტერატურის განვითარებას ჩვენს ქვეყანაში. ისევე როგორც ჩვენი სამშობლო, რომელიც ოქტომბრის პირველი დღეებიდანვე პარტიის წინამძღოლობით გაბედულად მიდიოდა უკლასო საზოგადოების აშენების უკვალავი გზებით, ახალგაზრდა საბჭოთა ლიტერატურა იკაფავდა გზას ახალი, საბჭოთა მკითხველის გულისაკენ, მიჰქონდა მასებში სიმართლე ცხოვრების შესახებ, ხალხის შესახებ, ბედნიერი მომავლისათვის მისი ბრძოლის შესახებ. ადგილი როდი იყო ეს გზა. გვხვდებოდა ამ გზაზე დაბრკოლებები, შეცდომები, დაეჭვება. მაგრამ როგორც გამოცდილი, მამაცი მესაზე, პარტია ყოველთვის პოულობდა სწორ გზას და წარმართავდა ამ გზაზე ახალი სოციალისტური ლიტერატურისა და ხელოვნების ხომალდს, და ვერავითარი ქარიშხალი, ვერავითარი შტორმი ვერ აჩერებდა მის ძლევამოსილ წინსვლას.

ჩვენი ლიტერატურა, მთელი ჩვენი სოციალისტური კულტურა ყველაზე მოწინავე და იდეურია მსოფლიოში, რადგან იგი ემსახურება ხალხის ინტერესებს, შეესაბამება კომუნისტურ იდეალებს. მსოფლიოში არც ერთ მწერალს არ ჰყოლია ისეთი მასობრივი მკითხველი, როგორიც ჩვენს სიტყვის ოსტატებს ჰყავთ. ვერც ერთი, თუნდაც ყველაზე პოპულარული ბურჟუაზიული მწერალი ვერც კი ოცნებობს ისეთ მასობრივ ტირაჟებზე, როგორითაც გამოდის წიგნები ჩვენს ქვეყანაში. მოხსენებაში მოყვანილი იყო დამაჯერებელი ციფრები, რომლებიც მოწმობენ წიგნების გამოცემის საქმის კოლოსალურ განვითარებას საბჭოთა კავშირში და, კერძოდ, ჩვენს რესპუბლიკაში. ეს დიდი კულტურული და პოლიტიკური გამარჯვება იმას მოწმობს, რომ პარტია და მთავრობა მამობრივად ზრუნავენ მთელი ჩვენი ლიტერატურის აყვავებისათვის, წიგნის გამომცემლობის, პოლიგრაფიის მძლავრი განვითარებისათვის. ამ დიდ ზრუნვას ჩვენმა მწერლებმა, მეცნიერებმა, გამომცემლობათა მუშაკებმა უნდა უპასუხონ ჩვენი შესანიშნავი ეპოქის — კომუნისტური საზოგადოების აშენების ეპოქის შესაფერისი ქმნილებებით.

ეროვნული კულტურების განვითარებისათვის ლენინური ბრუნვის ახალი გამოვლინება იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელი დადგენილება საქართველოს სსრ გამომცემლობათა მუშაობის სერიოზული ნაკლოვანებების შესახებ. ცენტრალურმა კომიტეტმა თავის დროზე დასვა ეს დიდმნიშვნელოვანი საკითხი და ძიაპყრო მას ჩვენი პარტიული ორგანიზაციების, იდეოლოგიური ფრონტის ყველა მუშაკის ყურადღება. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის გამომცემლობებმა ამ უკანასკნელი წლების მანძილზე გამოუშვეს ბევრი კარგი წიგნი მხატვრული, სამეცნიერო-ტექნიკური, სასოფლო-სამეურნეო და სამედიცინო ლიტერატურის დარგში, მაგრამ ამასთანავე ჩვენი გამომცემლობების საქმიანობაში არის სერიოზული ნაკლოვანებანი, რომელთა დაუძლეველად ჩვენ ვერ ვიქონიებთ საგამომცემლო საქმის შემდგომი წარმატებითი განვითარების იმედს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაწვრილებით განიხილა ეს საკითხი. სხდომაზე მოწვეული იყვნენ თვალსაჩინო მეცნიერები, გამომცემლობათა ხელმძღვანელები, რომლებთანაც გაიმართა დიდი გულახდილი საუბარი. ამასთანავე საჭიროდ მივიჩნიეთ ეს საკითხი განგვეხილა უფრო ფართო აუდიტორიაში, მწერლების, მეცნიერების, ჩვენი გამომცემლობების მუშაკთა მონაწილეობით. ჩვენი თათბირი ცხადყოფს, რომ სწორად მოვქცეულვართ. გამოსვლები ძირითადად კარგი, სწორი იყო. ეტყობა, ჩვენმა ამხანაგებმა გამოიტანეს დასკვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან, კრიტიკულად გადასინჯეს თავიანთი მუშაობა. ბევრი ძვირფასი შენიშვნა, რაც აქ გამოითქვა, უნდა გავითვალისწინოთ წიგნების გამომცემლობის საქმის გასაუმჯობესებლად შემდგომ პრაქტიკულ საქმიანობაში.

ნება მიბოძეთ შევეხო ზოგიერთ პრინციპულ საკითხს, რომლებიც დაკავშირებულია გამომცემლობათა მუშაობასთან, ჩვენი მწერლებისა და მეცნიერების ლიტერატურულ საქმიანობასთან. დიდმნიშვნელოვანია ისტორიისადმი, ისტორიული თემატიკისადმი დამოკიდებულების საკითხი.

სკკპ XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა პროპაგანდა, დაუხორმელი ბრძოლა მათი განხორციელებისათვის, ამბობს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორი ამხ. **მ. მაისურაძე,** განსაზღვრავს ჩვენს პრაქტიკულ ამოცანებსა და თემატიკას მთელი შვიდწლედისათვის. ჩვენი გამომცემლობა რესპუბლიკის უდიდესი და მრავალდარგოვანი გამომცემლობაა. მის გეგმებში გათვალისწინებულია პოლიტიკური, მხატვრული, სამრეწველო, ტექნიკური, სასოფლო-სამეურნეო, სამედიცინო, ტურისტული ლიტერატურის დიდძალი ნაბეჭდი პროდუქციის გამოცემა. დიდი მოცულობის სამუშაოები შესრულდა ვ. ი. ლენინის დაბადების 90 წლისთავის ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით. გამოიცა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის მიერ მომზადებული მოგონებები დიდ ბელადზე, აგრეთვე ცალკეულ ავტორთა ნაწარმოებნი. მიძღვნილი ვ. ი. ლენინის სხვადასხვა შრომებისათვის.

მხატვრული ლიტერატურის გამოცემის გეგმაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი კლასიკოსთა, თანამედროვე ქართველ და რუს მწერალთა ნაწარმოებების, საბჭოთა კავშირის მძმე ხალხების მწერალთა, საზღვარგარეთის პროგრესულ ავტორთა ნაწარმოებების გამოშვებას. სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის 45 სახელწოდებიდან, რომლებიც დაგეგმილია მიმდინარე წლისათვის, მეტი წილი მიძღვნილია ისეთი აქტუალური თემებისადმი, როგორიც არის მოწინავე გამოცდილების გაბიარება, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკა და ორგანიზაცია, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროცესების მექანიზაცია და ელექტროფიკაცია.

ამხ. მაისურაძემ აღნიშნა გამომცემლობის მუშაობის ნაკლოვანებებიც. გამოშვებული იყო იდეურად და მხატვრულად სუსტი წიგნები, გამოსაცემად ლიტერატურას ვარჩევდით არა მისი აქტუალობის, არამედ ამა თუ იმ ავტორის განაცხადის მიხედვით. მან აღნიშნა, რომ გამომცემლობას ჯერ კიდევ არა აქვს მჭიდრო კონტაქტი სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებთან, მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლებთან, რაც დიდი ნაკლია.

საგამომცემლო საქმის გაუმჯობესების დიდმნიშვნელოვანი საკითხები აღძრა თავის გამოსვლაში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორმა, ჟურნალ „საქართველოს ეკონომისტის“ რედაქტორმა პროფესორმა **პ. გუგუშვილმა.** მან იმაზეც ილაპარაკა, რომ ჟურნალ-გაზეთებში ხშირად იბეჭდება ასეთი რეცენზიები მეცნიერულ შრომებზე, რომელთა ავტორები ამ დარგის სპეციალისტები ან მცოდნეები არ არიან. რეცენზია უნდა დაეკალოს ისეთ ადამიანებს, რომლებიც დეტალურად ერკვევიან მინდობილ საქმეში.

ორატორი დაწვრილებით შეჩერდა აგრეთვე მთარგმნელობითი მუშაობის გაუმჯობესების საკითხებზე. მან მოიყვანა მაგალითები, როცა ცალკეული ქართველი მთარგმნელები დიდი ჰონორარის გამოდევნებით ისე თარგმნიან ნაწარმოებებს, რომ ამის შედეგად მათი ფორმატი თითქმის ერთიორად აღემატება ორიგინალს.

ამხ. გუგუშვილმა დააყენა ქართული საშრიფტო მეურნეობის მთელ რიგ დებულებათა მოწესრიგების აქტუალური საკითხები.

თათბირზე გამოვიდნენ სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს გამომცემლობათა მთავარი სამმართველოს უფროსი ამხ. **ა. რიბინი** და საქართველოს მთავლიტის უფროსი ამხ. **ბ. შატბეროვი.**

ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ,** რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

ქართველ ხალხს აქვს სახელოვანი, მრავალსაუკუნოვანი ისტორია, შესანიშნავი ტრადიციებით მდიდარი ძველი კულტურა. ეს არის ისტორია ხალხის თავდადებული ბრძოლისა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მრავალი უცხო დამპყრობის წინააღმდეგ. ქართველმა ხალხმა შეუბღალავად გამოატარა საუკუნეებში ბრძოლის დროშა, არც ერთხელ არ დაუხრია, მონობის სირცხვილით არ ეუბღალავს იგი. საქართველოს მშრომელებმა ღირსეული წვლილი შეიტანეს საძულველი ცარიზმის, კაპიტალისტთა და მემამულეთა ძალაუფლების დამხობის დიად საქმეში. რუსი ხალხის, ჩვენი დიდი სამშობლოს ყველა ხალხის მხარდამხარ იბრძოდნენ ქართველი ხალხის საუკეთესო შვილები საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, გენიალური ლენინის იდეების გამარჯვებისათვის. ჩვენი ისტორია სხვა ხალხებთან, და უწინარეს ყოვლისა, რუს ხალხთან ძმური მეგობრობის ისტორიაა. ამ მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის მატიანეში ბრწყინვალე ფურცლები ჩაწერეს პუშკინმა, ლერმონტოვმა, გრიბოედოვმა, ტოლსტოიმ, ჩაიკოვსკიმ, გორკიმ, შალიაპინმა, მაიაკოვსკიმ და ბევრმა სხვამ.

რა მადლიერი თემაა ისტორიკოსისათვის, მკვლევარისათვის, მწერლისათვის გრიბოედოვის დამოკიდებულება საქართველოსთან! შესაძლებელია ყველამ არ იცოდეს, რომ ამ დიდმა პოეტმა, დრამატურგმა და დიპლომატმა საკუთარი ხელით შეადგინა ჩვენი მშობლიური ქალაქის თბილისის რეკონსტრუქციის გეგმა! შესაძლებელია ყველამ არ იცოდეს, რომ გენიალური ქართველი პოეტი და მოაზროვნე დავით გურამიშვილი, რომელიც სიცოცხლის უკანასკნელ წლებში უკრაინაში, უკრაინის მიყრუებულ სოფელში ცხოვრობდა, ადგენდა წისქვილებისა და სხვა ნაგებობათა ნახაზებს, რათა შრომა შეემსუბუქებინა უკრაინელი გლეხებისათვის. დაუსრულებლივ შეიძლებოდა ასეთი ფაქტების მოყვანა. ეს შესანიშნავი, ჭეშმარიტად ამოუწურავი თემები ჩვენი მეცნიერებისათვის, სიტყვის ოსტატებისათვის!

ჩვენი ისტორია კანონიერ სიამაყეს გვინერგავს ჩვენი ხალხისათვის, ჩვენი მშრომელებისათვის, რომლებმაც დიაცვეს სამშობლო ქვეყნის თავისუფლება და დამოუკიდებლობა, შექმნეს განსაკუთრებით მდიდარი ეროვნული კულტურა, შეინარჩუნეს და ჩვენს დრომდე მოიტანეს იგი. მშობლიური ხალხის ისტორიის დამუშავება, ისტორიული განვითარების გაშუქება სწორი მარქსისტულ-ლენინური პოზიციებიდან ჩვენი მეცნიერების პირდაპირი მოვალეობაა. ამ დარგში ჩვენ ცოტა მიღწევა როდი გვაქვს. ავიღოთ თვალსაჩინო შრომები აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილისა, რომელსაც მიენიჭა ლენინური პრემიის ლაურეატის მაღალი წოდება, ან ჩვენი თვალსაჩინო მეცნიერების კორნელი კეკელიძისა და გიორგი ჩუბინიშვილის ღრმა გამოკვლევები ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიაში. ყოველივე ეს შედის ჩვენი მეცნიერული აზრის საგანძურის ოქროს ფონდში. ჩვენ ვამაყობთ ამ და ბევრი სხვა ჩვენი შესანიშნავი მეცნიერ-ისტორიკოსის სახელებით, რომლებიც ამრავლებენ სამამულო ისტორიული მეცნიერების დიდებას. ჩვენ კვლავაც დავამუშავებთ მარქსისტულ-ლენინური პოზიციებიდან ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის ისტორიას, მის ძმურ ეკონომიურ და კულტურულ ურთიერთობას სხვა ხალხებთან.

მაგრამ ყოველივე ამას საერთო არაფერი აქვს შორეული ისტორიული მეტისმეტ გატაცებასთან, წარსულის, ძველი ფეოდალური წესწყობილების იდეალიზაციასთან. აქ უკვე საქმე გვაქვს იმ ავტორების, გამომცემლების იდეოლოგიურ შეცდომებთან და ხარვეზებთან, ვინც პასუხს აგებს ჩვენი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ამ უმნიშვნელოვანესი უბნისათვის. აქ მოიყვანეს ისტორიული წარსულისადმი არაკრიტიკული, ანტიმეცნიერული მიდგომის გამოვლინების კონკრეტული ფაქტები. მე მათ არ გავიმეორებ, მინდა თქვენი ყურადღება გავამახვილო ჩვენი ისტორიკოსების ერთი ნაწილის, მართალია უმნიშვნელო ნაწილის, ერთ არაჯანსაღ ტენდენციაზე. ზოგიერთი მათგანი რაიმე სერიოზული მეცნიერული ანალიზის გაუკეთებლად, ემყარება რა საეჭვო ჰიპოთეზებს, შემთხვევით ფონეტიკურ დამთხვევებს, ისწრაფვის ჩვენს ისტორიას, ჩვენს ხალხს მიაწეროს ის, რაც სინამდვილეში არ არის და არასოდეს არ ყოფილა. შესაძლებელია ისინი ხელმძღვანელობენ კეთილი პატრიოტული განზრახვით, მაგრამ მეცნიერებასთან ამს საერთო არა აქვს რა. ხშირად ფაქტების ასეთ არევას, სახელების, მოვლენების, მათი წარმოშობისა და არსის თვითნებურ განმარტებას აქვს ნაციონალისტური ელფერი, მისწრაფება იაფფასიანი ეფექტისადმი. ის, ვინ

საერთაშორისო
ლეკვეშები, ცნობები, მიმოხილვა
ცხოვრება

დე გოლის გამოსვლა

პარიზი, 1 ივნისი. საკადესის კორესპონდენტი ვ. სახოვა იუწყება:

საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი შარლ დე გოლი გუშინ საღამოს გამოვიდა რადიოთი და ტელევიზიით და წარმოთქვა სიტყვა საერთაშორისო მდგომარეობისა და საგარეო პოლიტიკის შესახებ.

დაახასიათა რა საერთაშორისო მდგომარეობა, დე გოლმა თქვა, რომ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ხალხების გათიშვა „ჩვენი ეპოქის მთავარი ნიშანი და ყველაზე უარესი ბოროტებაა".

„ორი ბანაკი უპირისპირდება ერთმანეთს ისეთ პირობებში, — განაგრძო მან, — რომ მხოლოდ მოსკოესა ან ვაშინგტონზეა დამოკიდებული, რომ ყაფიბრიობის მნიშვნელოვანი ნაწილი შეიძლება რამდენიმე საათში მოისპოს.

ასეთი მდგომარეობის გამო საფრანგეთს მიაჩნია, რომ არ არსებობს ისეთი ტერიტორიული კონფლიქტი ან იდეოლოგიური დავა, რომლებიც უფრო დიდმნიშვნელოვანია, ვიდრე ის, რომ საკირო თავიდან იქნას აცილებული ეს საზარელი საფრთხე".

პრეზიდენტმა ჩამოთვალა სამი პირობა, რომელთა განხორციელება მისი აზრით საჭიროა ხსენებული საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

„ჯერ ერთი, ეს არის დაძაბულობის შენელება, სხვანაირად რომ ვთქვათ, გაუმჯობესებული ურთიერთობის პრაქტიკა, რომელიც გამორიცხავს პროვოკაციულ აქტებსა და სიტყვებს და გაამრავლებს ეკონომიურ და კულტურულ გაცვლას და ტურისტთა გაცვლას, რათა შეიქმნას დაშოშმინების ატმოსფერო.

მეორე პირობა, პრეზიდენტის სიტყვით, არის ბალანსგადაყვანილი ღონისძიების განხორციელება, რომ „კონტროლი გაეწიოს განიარაღებას, რაც გამოყენებული იქნება უმთავრესად იმ იარაღების მიმართ, რომლებსაც შეუძლიათ ბომბების წაღება სტრატეგიულ მანძილზე, რათა გაჩერეს შესაძლებლობა, ხოლო შემდეგ ცდუნებაც — გამოიწვიონ უეცარი საყოველთაო ნგრევა":

მესამე პირობად დე გოლს მიაჩნია „ორგანიზებული თანამშრომლობის დაწყება აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, რაც ჩაყენებული იქნება ადამიანის სამსახურში". პრეზიდენტს მხედველობაში აქვს თანამშრომლობა სუსტადგანვითარებული ქვეყნებისათვის დახმარების გაწევის დარგში და მეცნიერული კვლევის დარგში.

პრეზიდენტმა განაცხადა, რომ საფრანგეთი „მთ უმეტეს განწყობილია ამ შენელებისადმი, ამ განიარაღებისადმი, ამ თანამშრომლობისადმი, რომ „არავითარი პირდაპირი დავა არ უპირისპირებს მას რუსეთს", რომ „იგი ამ ქვეყნის ხალხისადმი გამსჭვალულია ტრადიციული მიდრეკილებით". უგულებელყო რა ის ფაქტი, რომ სხვადასხვა სოციალურ-საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი საფუძვლად დაედო საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას მისი შექმნის პირველი დღიდანვე, პრეზიდენტი ამტკიცებდა, რომ სსრ კავშირმა მშვიდობიანი თანაარსებობის საჭიროება გამოაცხადა თითქოს მხოლოდ მაშინ, როცა აღმოსავლეთისა და დასავლეთისათვის ცხადი გახდა, რომ ატომური ომი „გარდუვალად გამოიწვევდა უბედურებას ყველასათვის".

გენერალი დე გოლი ამტკიცებდა, რომ საბჭოთა კავშირის წინადადება გერმანიასთან სახეთო ხელშეკრულების დადების შესახებ თითქოს არის „პირობა, რომელიც ეწინააღმდეგება საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას", ხოლო საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილება ბოლო მოუღოს მეორე მსოფლიო ომის შეფოგვებს და მიაღწიოს მდგომარეობის ნორმალიზაციას დასავლეთ ბერლინში, მან სცადა წარმოედგინა როგორც „ტოტალიტალური უღლის" თავსმოხვევის ცდა.

პრეზიდენტმა აღიარა, რომ საბჭოთა კავშირის სუვერენიტეტის დარღვევა ამერიკის ჯაშუშური თვითმფრინავის მიერ, რომელსაც მან მოკრძალებით უწოდა „ფოტოგადამღები „თვითმფრინავი" თამბირამდე ორი კვირით ადრე სულ ცოტა მიზანშეუწონელი იყო. მაგრამ მან განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირს თითქოს არ ჰქონდა „საკმაო მოტივი უარი ეთქვა უმაღლესი დონის თათბირის გახსნაზე". ამასთან გენერალმა დე გოლმა ფაქტიურად ერთნაირად შეაფასა ამერიკის საგანგებო თვითმფრინავის ჯაშუშური გაფრენა და საბჭოთა კოსმოსური თანამგზავრი ხომალდი და განაცხადა: „მეტისმეტი იყო ვაშინგტონისაგან საჯარო ბოდიშის მოხდისა და ზარალის ანაზღაურების მოთხოვნა იმიტომ, რომ ფოტოკამერით აღჭურვილმა ერთმოტორიანმა თვითმფრინავმა სცადა საბჭოთა სივრცის გადაკვეთა, და ეს ამ დროს, როცა საბჭოთა კავშირის ხელში იყო ჩამოგდებული თვითმფრინავის ნამსხვრევები და მის მიერ გადადებული ფოტოფირი, და იმ დროს, როცა მიღებული იყო გარანტიები, რომ ეს არ გამეორდებოდა".

გენერალმა დე გოლმა ექვი გამოთქვა, რომ მიზანშეწონილი იყო საბჭოთა მთავრობის მეთაურის ჩამოსვლა პარიზში თვითმფრინავის ინციდენტის მოწესრიგებამდე, თუ „იგი აპირებდა ეს მოწესრიგება წამოეყენებინა თათბირის გახსნის პირობად".

„იმ ეპოქაში, როცა ცას სერავენ თანამგზავრები, რაკეტები, თვითმფრინავები, რომელთაც შეუძლიათ გადაიღონ დედამიწის ყოველი რაიონის ფოტოსურათი და ჩამოყარონ ყუმბარები, რომლებიც საშინელ ნგრევას გამოიწვევენ, საჭიროა, — განაცხადა გენერალმა დე გოლმა, — მოვწყოს ურთიერთ კონტროლი ამ ყუმბარებისადმი".

დე გოლის აზრით, მიზნები, რომლებიც ოთხმა დიდმა სახელმწიფომ უნდა განახორციელოს ერთობლივად, არის „საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, პირობებში საფრანგეთი შეძლებს შესაბამის მომენტში „განიხილოს საკითხი იმის შესახებ, რომ გაიხსნას პარიზის თათბირი, რომელიც გადაწყვეტილი იყო მოწყობილიყო და რომელიც არ გაიმართა".

თავისი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი გენერალმა დე გოლმა მიუძღვნა ალჟირს, რომ საფრანგეთი ნატოს და „ევროპის მშენებლობის" გეგმების ერთგულია. საფრანგეთი, თქვა მან, „რჩება ატლანტიკის კავშირის შემადგენელ ნაწილად".

დე გოლმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საფრანგეთმა „უნდა შეასრულოს თავისი როლი ნატოში „და რომ ამისათვის მან აერეთვე უნდა აღკუთვნოს თავისი შეიარაღებული ძალები ატომგულის იარაღით".

„თვითთეუდი გაფრთხილებულია"...

პარიზი, 31 მაისი. (საკადესი). კომენტარს უკეთებს რა სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის რ. ი. მალინოვსკის სტატიას კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების შეჯიბრების მოწინავეთა თათბირზე, მომთხილველი ქან-მორის ერმანი გაზეთ „ლიბერასიონში" წერს, რომ საბჭოთა კავშირის გაფრთხილება სერიოზულია, მაგრამ დასაბუთებულია იმ პოლიტიკის გამო, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები ახორციელებენ. „როგორ მოიქცეოდა პენტაგონი, — კითხულობს ერმანი, — რუსეთის თვითმფრინავები რომ გაფრენილიყვნენ მექსიკიდან და ეფრინათ ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე (რაც არასოდეს არ ყოფილა) და მოსკოვში განეცხადებინათ. რომ ისინი დასცინიან ამერიკის პროტესტს და ფრენას განაგრძობენ? საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილება ხელს შეუშლის მხოლოდ იმათ, ვისაც განზრახვა აქვს განაგრძოს ისეთი მოქმედება, რომელსაც სხვების მხრივ ვერ მოითმენდა. ეს გადაწყვეტილება აიძულებს ამერიკელ შეერთებული შტატების მოკავშირეებს სულ უფრო მეტი კონტროლი გაუწიონ იმას, რასაც ამერიკელები აკეთებენ (პატრონების შეუტყობინებლადაც კი) იმ ბაზებზე, რომლებიც მათ დაუთმეს".

ერმანი წერს: „მოსკოვში წარმოთქმული სიტყვა არავითარ ადგილს არ ტოვებს ორკოფული თამაშისათვის. თვითეული გაფრთხილებულია და უნდა შეიგნოს თავისი პასუხისმგებლობა. ნამდვილი მშვიდობა მხოლოდ მოიგებს იმით, თუ დაჩქარდება ბოლო მოეღოს „ომის ზღვარზე" პოლიტიკას.

საგზოთა დელეგაცია პეკინში

პეკინი, 31 მაისი. (საკადესი) დღეს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური საბჭოს 11 სესიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად პეკინს ჩამოვიდა საბჭოთა პროფკავშირული დელეგაცია საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარის ვ. ვ. გრიშინის მეთაურობით.

სოლომონ თავაძე

გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მწერალი სოლომონ თავაძე.

სოლომონ ეგნატეს-ძე თავაძე დაიბადა 1890 წლის 19 ივნისს ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩოჩხათში, გლეხის ოჯახში. იგი ადრე დაობლდა და ბავშვობიდანვე იძულებული იყო ხელი მოეკიდა ძმის შრომისათვის, 1904 წელს მუშაობას იწყებს ჩაქუში ჩაის მტრედფავად, ხოლო შემდეგ ჩაის ფაბრიკაში — მუშად. აქ იგი უკავშირდება რევოლუციურად განწყობილ მუშებს და ებმება არალეგალურ მუშაობაში. 1905 წლის მაისში ს. თავაძე სამსონ ერთელაშვილთან ერთად ადგენს წითელრაზმელთა ჯგუფს სოფელ მუხაურუაში. 1906 წელს მას აპატიმრებენ და ციმბირში ასახლებენ, საიდანაც ის გაპარობს, სხვისი პასპორტით ცხოვრობს ბაქოში და მუშაობს მექანიკურ სახელოსნოში. 1910 წელს ს. თავაძე კვლავ დაპატიმრეს და გადმოიყვანეს ქუთაისში, სადაც გაასამართლეს და 1905 წლის რევოლუციაში მონაწილეობისათვის სამუდამო კატორღა მიუსაჯეს.

სოლომონ თავაძემ პატიმრობის წლებში დაიწყო წერა. მისი პირველი ლექსი „მუშა" დაიბეჭდა 1912 წელს გაზეთ „თემში". ამის შემდეგ ს. თავაძის ლექსები და მოთხრობები სისტემატურად იბეჭდებოდა „ობოლი მუშის" ფსევდონიმით.

ს. თავაძე სპასრობილიდან 1917 წელს, თებერვლის რევოლუციის შემდეგ განთავისუფლდა.

1918 წელს გამოქვეყნდა სოლომონ თავაძის პირველი წიგნი. ეს იყო სპპატიმრობაში დაწერილი ლექსებისა და პოემების კრებული „ბორბალი". მალე ამას [illegible] „სპპატიმრობაში" [illegible] „ბალადა [illegible] ქართველ [illegible] ჩაება [illegible] საქმიანობაში. ზედიზედ იბეჭდება მისი ლექსებისა და პოემების წიგნები: „შორი ნათელი", „პოემები", „დილა", „მზია ლაური", „გმირთა დიდება", „კავკასიონი", რომანები: „გზა მეწამული", „მამა", „ეგვიპტელი", „კავკასიონის კარებთან", „მაისის განთიადი", „აბესალომ მუხიგული", „ქართული ფოლადი", „დაუვიწყარი", მოთხრობები, ნარკვევები და სხვ.

სოლომონ თავაძე ეწეოდა ავრეთვე ნაყოფიერ მთარგმნელობით მუშაობას. მისი თარგმანებიდან აღსანიშნავია ჯეკ ლონდონის „მარტინ იდენი", იასენსკის — „მე ვწვავ პარიზს", ტურგენევის „რუდინი", გერცენის „ნამყო და ნაზრევი".

სოლომონ თავაძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში და გარკვეული ადგილი დაიმკვიდრა ქართული მწერლობის ისტორიაში.

ს. თავაძე იყო უმშიკვლო, თავმდაბალი და მუყაფი ადამიანი. მისი ხსოვნა მუდამ დარჩება ჩვენს გულში.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა.

ომის ისტერია ვაშინგტონში

ვაშინგტონი, 31 მაისი. (საკადესი). დღეს აქ გაიხსნა სეატოს აგრეაიულ ბლოკში შემავალი სახელმწიფოების პრემიერ-მინისტრებისა და საგარეო საქმეთა მინისტრების ოთხი დღის თათბირი, ავსტრალია და ახალი ზელანდია ამ თათბირზე წარმოდგენილი არიან პრემიერ-მინისტრებით; ინგლისი, საფრანგეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, პაკისტანი, ფილიპინები და ტაილანდი — საგარეო საქმეთა მინისტრებით.

როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტო განმარტავს, თათბირის მიზანია „განიხილოს გაძლიერებული ცივი ომის პერსპექტივები".

თათბირის წინ, როგორც ჩანს „შეესაფერისი" ვითარების შესაქმნელად, ამერიკის პრესაში დაიბეჭდა მრავალი ცილისმწამებლური სტატია „აგრესიული კომუნისტური მოქმედების" შესახებ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

თათბირის გახსნაზე გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჰერტერი. აშკარად მიმართა რა ისეთ ქვეყნებს, როგორიც არის ინდოეთი, ბირმა და კამბოჯა, რომელთაც არა სურთ თავიანთი ბედი დაუკავშირონ სეატოს აგრესიულ კურსს, ჰერტერმა სცადა დაემტკიცებინა, რომ სეატო ვითომდა უზრუნველყოფს არა მარტო მასში შემავალი აზიის სახელმწიფოების დამოუკიდებლობას, არამედ აგრეთვე სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სხვა ქვეყნების დამოუკიდებლობასაც, რომლებიც არ მონაწილეობენ ამ სამხედრო ბლოკში.

პრეზიდენტ ეიზენჰაუერის სახელით კავშირის მონაწილეებს მიესალმა ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი ნიქსონი, რომელმაც მთელი რიგი გამოხდომები დაუშვა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ.

ლანგე აღიარებს...

პარიზი, 31 მაისი. (საკადესი). ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ოსლოდან იუწყება:

საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰალვარდ ლანგემ სტორტინგში (პარლამენტი) განაცხადა, რომ მოკავშირეთა არც ერთ თვითმფრინავს არ მიეცემა ნება მომავალში აფრინდეს ნორვეგიის აეროდრომებიდან სადაზვერვო ფრენისათვის საერთაშორისო ტერიტორიაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იქნება კაბინეტის სპეციალური გადაწყვეტილება.

ლანგემ მონაწილეობა მიიღო კამათში საგარეო პოლიტიკის საკითხებზე, რომელიც უმთავრესად ეხებოდა ამერიკის „უ-2" სამხედრო სადაზვერვო თვითმფრინავის საქმეს, რომელიც საბჭოთა ტერიტორიაზე ჩამოვარდა 1 მაისს.

მან განაცხადა: „უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ჩვენ ზოგიერთ შემთხვევაში ნებას ვაძლევდით მოკავშირეთა თვითმფრინავებს აფრენილიყვნენ ნორვეგიის აეროდრომებიდან, სადაზვერვო ფრენისათვის საერთაშორისო ტერიტორიაზე".

ლანგემ დასძინა: „იმ ინციდენტის შემდეგ, რომელიც 1 მაისს მოხდა, ასეთი ნებართვა არ გაცემულა და არ გაიცემა მომავალში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იქნება კაბინეტის სპეციალური გადაწყვეტილება".

ლანგემ განაცხადა, რომ ნორვეგიის ხელისუფლებს, რომლებიც შეუდგნენ ამ ინციდენტის ყოველმხრივ გამოკვლევას, 12 მაისს აცნობეს, რომ „უ-2" თვითმფრინავის პილოტი ფრენსის პაუერსი მიემართებოდა ჩრდილოეთ ნორვეგიის ბუდეს აეროდრომისაკენ, როცა იგი ჩამოაგდეს სვერდლოვსკთან. „როგორც კეს ცნობები მივიღეთ, დაუყოვნებლივ პროტესტი განვუცხადეთ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას", თქვა საგარეო საქმეთა მინისტრმა.

ა. ნ. კოსიგინი რომში

რომი, 31 მაისი. (საკადესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ნ. კოსიგინი, რომელიც არგენტინიდან სამშობლოში ბრუნდება, რომში შეჩერდა როგორც იტალიაში სსრ კავშირის ელჩის ს. პ. კოზირევის პირადი სტუმარი. 30 მაისს სადამოს სსრ კავშირის ელჩმა იტალიაში ა. ნ. კოსიგინის პატივსაცემად გამართა სადილი, რომელზეც იყვნენ იტალიის საფინანსო და სამრეწველო წრეების წარმომადგენლები.

ა. ნ. კოსიგინსა და იტალიის საქმიანი წრეების წარმომადგენელთა შორის გაიმართა აზრთა გაზიარება სსრ კავშირსა და იტალიას შორის ეკონომიური თანამშრომლობის განვითარების საკითხზე.

რომი, 1 ივნისი. (საკადესი). გუშინ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ნ. კოსიგინი ვიზიტად იყო იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტ ჯოვანი გრონკისთან და საუბარი ჰქონდა მასთან

საუბარს დაესწრო სსრ კავშირის ელჩი იტალიაში ს. პ. კოზირევი.

პრეზიდენტმა ა. ნ. კოსიგინი მიიწვია დარბაზობაზე იტალიის ეროვნული დღესასწაულის — რესპუბლიკის დღის გამო. დარბაზობის დროს გაიმართა საუბარი ა. ნ. კოსიგინსა და იტალიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ფერნანდო ტამბრონის შორის.

ლაოსს ეყოლება ახალი მთავრობა

ნიუ-იორკი, 31 მაისი. (საკადესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ვიენტიანიდან იუწყება, დღეს ლაოსის მეფემ დაავალა ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრს ტაიაო სამსონიტს შეადგინოს ახალი მთავრობა. ტაიაო სამსონიტი ლიდერია ამას წინათ შექმნილი სოციალ-დემოკრატიული პარტიისა. ეს პარტია ეროვნულ კრებაში წარმოადგენს სამხედრო დაჯგუფებას, რომლის კონტროლით მოეწყო ლაოსის პარლამენტის ამასწინანდელი „არჩევნები".

საფრანგეთი აღიარებს ბუნდესვერს

პარიზი, 31 მაისი. (საკადესი). როგორც გაზეთი „ლიბერასიონი" იუწყება, ამას წინათ საფრანგეთის საავიაციო კომპანიამ „ნორ-ავიასიონმა" ბუნდესვერის კომპენტენტურ წარმომადგენლებთან ხელი მოაწერა კონტრაქტს დასავლეთ გერმანიის ჯარებისათვის „სს-11" ტიპის ყუმბარების დიდი პარტიის მიწოდების შესახებ. თერმოტეტი ათასი ასეთი ყუმბარა უკვე მიაწოდა კომპანიამ. ახალი შეკვეთის საფუძველზე ბუნდესვერს მიაწვდიან კიდევ 20 ათას ასეთ ყუმბარას.



ლილაადრიან.

ფოტოტეუდი ს. კილაძისა.

ბულგარეთი

მატჩები პარიზში გაიმართება

ჩეხოსლოვაკიისა და რუმინეთის ეროვნულ ნაკრებთა მეორე შეხვედრით, რომელიც ბრატისლავაში გაიმართა და დამთავრდა ჩეხოსლოვაკიის გუნდის გამარჯვებით ანგარიშით 3:0, ამოიწურა ევროპის თასის გათამაშების მეოთხედფინალური მატჩები ფეხბურთში.

ამრიგად, თასის გათამაშების ნახევარფინალში გავიდნენ სსრ კავშირის, საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის ნაკრები გუნდები, დასკვნითი შეხვედრები მოიწყობა პარიზში 6-დან 10 ივლისამდე. ნახევარფინალებში ერთმანეთს შეხვდებიან სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის და საფრანგეთისა და იუგოსლავიის გუნდები.

„ეფფილდ უენსდეის" მესამე დამარცხება

გუშინ მოსკოვის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა მორიგი საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში. საბჭოთა კავშირში სტუმრად მყოფ ინგლისის საკლუბო გუნდმა „შეფილდ უენსდეისმა" ჩაატარა მესამე მატჩი დედაქალაქის „ლოკომოტივთან".

მძაფრი სპორტული ბრძოლა დამთავრდა ლოკომოტიველთა გამარჯვებით ანგარიშით 3:2, საბჭოთა ფეხბურთელებიდან ბურთები გაიტანეს ვორონინლევმა (2) და ემშვილმა (1), ინგლისელებიდან „მარკხენა გარემარბმა ფინეიმ (2).

სსრ კავშირის პირველობაზე

1 ივნისს გაიმართა მორიგი მატჩები ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობაზე. **ლენინგრადში** ადგილობრივმა „ზენიტმა" გაიმარჯვა კიშინოვის „მოლდავასთან" (3:1); **კუიბიშევში** „კრილია სოვეტოვმა" ასეთივე ანგარიშით დაამარცხა „კაირატი", ხოლო **მინსკში** არმიის ცენტრალურმა სასპორტო გუნდმა „ბელარუსის" ფეხბურთელებთან გაიმარჯვა 3:0. **სტალინოში** „შახტიორისა" და ვილნიუსის „სპარტაკის" შეხვედრა დამთავრდა ფრეთ (0:0).

რედაქტორი დ. მჟედლიშვილი.

პროტესტი იაპონიაში ეიზენჰაუერის ჩასვლის წინააღმდეგ

ტოკიო, 31 მაისი. (საკადესი). სრულიად იაპონიის ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის საბჭოს წარმომადგენლებმა დღეს ამერიკის საელჩოს ტოკიოში გადასცეს საპროტესტო განცხადება იაპონიაში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ეიზენჰაუერის ჩამოსვლის წინააღმდეგ.

განცხადებაში ნათქვამია, რომ ამერიკის პრეზიდენტის ჩამოსვლა იაპონიაში იმ დროს, როცა იაპონელი ხალხი იბრძვის იაპონია-ამერიკის სამხედრო კავშირის წინააღმდეგ, მიზნად ისახავს მხარი დაუჭიროს კისის მთავრობას, რომელსაც კრახი მოელის. მშვიდობის ყველა მომხრის სახელით საბჭო მოითხოვს ამერიკის პრეზიდენტისაგან უარი თქვას იაპონიაში გამგზავრებაზე.

იაპონიაში ეიზენჰაუერის ვიზიტის წინააღმდეგ საპროტესტო რეზოლუცია მიიღო აგრეთვე სრულიად იაპონიის მასწავლებელთა პროფკავშირის ყრილობამ, რომელიც ტოკიოში მიმდინარეობს. იაპონია-ამერიკის „უშიშროების ხელშეკრულების" წინააღმდეგ ბრძოლის ქალაქ ოსაკას საბჭომ აგრეთვე გადასცა ამერიკის გენერალურ კონსულს ოსაკაში განცხადება, რომელშიც მოითხოვს, რომ ეიზენჰაუერმა უარი თქვას იაპონიაში ჩამოსვლაზე.

ტოკიო, 31 მაისი. (საკადესი). იაპონია-ამერიკის „უშიშროების ხელშეკრულების" გადასინჯვის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული საბჭოს ინიციატივით დღეს მთელ იაპონიაში დაიწყო ამერიკის შეერთებულ შტატებთან სამხედრო კავშირის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედების მე-17 კამპანია. იაპონელ მშრომელთა მრავალმილიონიანი მასების ამ ახალი გამოსვლის ცენტრალური ლოზუნგებია: „ძირს უშიშროების ხელშეკრულება!", „ძირს კისის კაბინეტი!" „დაითხოვეთ პარლამენტი!". 31 მაისიდან 11 ივნისამდე იაპონიის პროფკავშირული გაერთიანებანი იაპონიის პროფკავშირთა გენერალური საბჭოს მეთაურობით მოაწყობენ სამრეწველო საწარმოებში მასობრივ საპროტესტო მიტინგებს, ხელმოწერის შეგროვებას პეტიციებზე, რომლებიც მოითხოვენ შეერთებულ შტატებთან სამხედრო კავშირის ლიკვიდაციას, ნეიტრალიტეტისა და სამხედრო ბლოკებში მონაწილეობის მიუღებლობის პოლიტიკის განხორციელებას.

მდგომარეობა თურქეთში

ლონდონი, 31 მაისი. (საკადესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, გასულ ღამეს ანკარაში ისმოდა კანონიერი სროლა, მაგრამ ქალაქი დაწყნარებული ჩანდა, როცა დილის 5 საათზე საკომენდანტო საათი გათავდა.

მოსახლეობა ხელისუფლებს აბარებს იარაღსა და საომარ მასალას. ახალი მთავრობის მიერ დაპატიმრებულ პირთა რიცხვმა 63 მიაღწია, მათ შორის არიან პარლამენტის დეპუტატები, პოლიციელები, დემოკრატიული პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ნიუ-იორკი, 31 მაისი. (საკადესი). იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტოს კორესპონდენტი ანკარიდან იუწყება:

თურქეთის დროებითი მთავრობის პრემიერმა გენერალმა ჯემალ გიურსელმა დღეს განაცხადა, რომ ყოფილი პრემიერი ადნან მენდერესი და დამხობილი მთავრობის სხვა ლიდერები წარსდგებიან სასამართლოს წინაშე კონსტიტუციის დარღვევისათვის. მან განაცხადა, რომ არმიას სჯერა მათი დანაშაული. გიურსელმა თქვა, რომ დაუყოვნებლივ შეიქმნება კომისია, რათა გამოიძიოს მენდერესის რეჟიმის მოქმედება.

ანკარა, 31 მაისი. (საკადესი). როგორც ანკარის რადიო იუწყება, კომუნიკეში, რომელიც გამოქვეყნდა თურქეთის ახალი დროებითი მთავრობის სხდომის შემდეგ, ნათქვამია, რომ სხდომაზე ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი გადაწყვეტილებანი:

1. დაუყოვნებლივ იქნეს მიღებული ყველა საჭირო ღონისძიება თანამემამულეთა მატერიალური და სულიერი ცხოვრების დონის ასამაღლებლად.

2. აიკრძალოს გარდამავალ პერიოდში პოლიტიკური პარტიების საქმიანობა, რათა არ იქნეს რაიმე არასასურველი მოვლენებისა და მოქალაქეთა შორის დავის წარმოშობის შესაძლებლობა.

3. გაუქმდეს ყველა კანონი და განკარგულება, რომლებიც წინანდელმა მთავრობამ გამოსცა და ეწინააღმდეგებიან სამართალსა და სამართლიანობას.

4. დაუყოვნებლივ იქნეს მიღებული ღონისძიებანი თურქეთის ეკონომიური და ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხალხის მატერიალური ცხოვრების გაუმჯობესებისათვის.

5. ცნობილ იქნეს წინანდელი მთავრობის მიერ ნაკისრი ყველა ვალდებულება უცხო სახელმწიფოთა მიმართ, როგორც პოლიტიკურ და სამხედრო, ისე ეკონომიურ და ფინანსურ დარგებში და მიღებულ იქნეს შესაბამისი ღონისძიებანი ამ საკითხზე.

6. დამყარდეს მეგობრული ურთიერთობა მსოფლიოს ყველა სახელმწიფოსთან და განსაკუთრებით იმათთან, ვინც ჩვენი მოკავშირეები და მეზობლები არიან. მშვიდობისადმი სამსახური აღიარებულ იქნეს თურქეთის საგარეო პოლიტიკის პირველ და მთავარ პუნქტად და პრინციპად.

ლონდონი, 1 ივნისი. (საკადესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ანკარიდან იუწყება, თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ჯემალ გიურსელმა გუშინ აქ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ იგი გადადგება მას შემდეგ, რაც მოხდება მეჯლისის არჩევნები და არჩეულ იქნება ახალი მთავრობა.

პრემიერ-მინისტრი აღნიშნავს, რომ იმ სახელმწიფოთა 80 პროცენტმა, რომელთაც წინათ დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდათ თურქეთთან, უკვე ცნო ახალი მთავრობა.

ლონდონი, 1 ივნისი. (საკადესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ანკარიდან იუწყება, თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ჯ. გიურსელმა პრეს-კონფერენციაზე ანკარაში განაცხადა, რომ ცნობა ყოფილი პრეზიდენტის ჯელალ ბაიარის თვითმკვლელობის ცდის შესახებ „აბსოლუტურად არ შეესაბამება სინამდვილეს".

კითხვაზე, ხელი მოაწერა თუ არა ბაიარმა როგორც სახელმწიფოს მეთაურმა რწმუნებათა უარყოფასო და ვინ არის ახლა სახელმწიფოს მეთაური, გიურსელმა უპასუხა: „მე".

პარიზი, 1 ივნისი. (საკადესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი სტამბოლიდან იუწყება, გუშინ თურქეთ-საბერძნეთის საზღვრის გადასვლის ცდის დროს დააპატიმრეს ყოფილი მინისტრი, მეჯლისის დეპუტატი და დემოკრატიული პარტიის ცენტრალური ხელმძღვანელი საბჭოს წევრი სამედ აღაოღლუ, რომელიც ელეხად იყო გადაცმული. აღაოღლუ იცნეს გლეხებმა და გადასცეს სამხედრო ხელისუფალთ.

უკანასკნელ 48 საათში ხელისუფლებმა დააპატიმრეს მეჯლისის 14 ყოფილი დეპუტატი, დემოკრატიული პარტიის წევრები, რომლებიც ცდილობდნენ საბერძნეთში გაქცევას.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს პროფესორ ნ. მახვილაძის სახელობის შრომის ინსტიტუტი

აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

1. სოფლის მეურნეობის შრომის ჰიგიენის სექტორის ხელმძღვანელი — 1 კაცი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი.
2. გერონტოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი — 1 კაცი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი.
3. შრომის ჰიგიენის განყოფილების უფროსი მეცნიერი მუშაკი — 1 კაცი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი.
4. კლინიკური ორდინატორი პროფესიულ დაავადებათა განყოფილებაში — 1 კაცი.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველებს ინსტიტუტის დირექტორის სახელზე შეაქვთ განცხადება, რომელსაც უნდა დაერთოს საბუთები თანახმად არსებული წესებისა.

კონკურსის ვადაა ერთი თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

მისამართი: თბილისი, კლარა ცეტკინის ქუჩა № 126, დირექცია.

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი

16 ივნისიდან **იხილეთ მოსკოვის სტანისლავსკის სახელობის დრამატული თეატრის გასტროლები**

დაიწყო ბილეთების წინასწარ გაყიდვა. მიიღება კოლექტიური განცხადებები.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი

აცხადებს კონკურსს კლინიკური ორდინატურის 21 ვაკანტურ თანამდებობაზე შემდეგ სპეციალობებში:

თერაპია — 2, **ქირურგია** — 1, **პედიატრია** — 2, **ინფექციური სნეულება** — 1, **ეპიდემიოლოგია** — 1, **თვალის სნეულება** — 1, **სამკურნალო ფიზიკულტურა** — 1, **მეან-გინეკოლოგია** — 1, **ფთიზიატრია** — 4, **რენტგენო-რადიოლოგია** — 1, **ნევროპათოლოგია** — 1, **ფსიქიატრია** — 3, **პათანატომია** — 1.

ორდინატურაში (სწავლების ვადა ორი წელი) მიიღებიან უმაღლესი სამედიცინო განათლების მქონე პირები არაუმეტეს 35 წლის ასაკისა, რომლებსაც ექნებათ პრაქტიკული მუშაობის სულ მცირე სამი წლის სტაჟი.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა ინსტიტუტის დირექტორის სახელზე უნდა წარმოადგინონ განცხადებები შემდეგი საბუთების თანდართვით (ორ ცალად): კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია და ფოტოსურათი, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის ნოტარიული პირი, ცნობა მუშაობის სტაჟის შესახებ, დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, ცნობა სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების შესახებ, დაბადების მოწმობა (ნოტარიული პირი), რაიონის მთავარი ექიმის რეკომენდაცია.

პასპორტს წარმო